წლიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

შაბათი, 7 მაისი, 1921 წ.

№ 53 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 53

შეჯიბრება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშნების ნიმუშების დამზადებაზე

ფულის ნიშნები დაიბეჭდება 30, 50, 100, 500, 1000, 5000 და 10,000 მან. ღირებულობის.

შეჯიბრების პირობები:

1) ფულის ნიშნის ნახატები, ქართული ათას მანეთიანი ბონის ფორმატის ოდენა და სამი სხვადასხვა ნაირი წარმოდგენილი შეჯიბრებისთვის, უნდა იყოს დამთავრებულის სახით, ორივე გვერდებზე ორი ფერით.

2) ნიშნებზე უნდა იქნეს ქართულ, ფრანგულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე შემდეგი შინაარსის წარწერა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშანი“.

გარდა ამისა წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ ზემოჩამოთვლილ ხუთ ენაზე და აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ და იტალიურზე.

3) ფულის ნიშნები უნდა იქნეს შესრულებული ქართულ სტილზე, რომელშიაც უნდა იყოს გამოხატული ჩაქუჩი და ნამგალი.

4) დაჯილდოვება: საუკეთესო ნამუშევრისთვის მან. 500,000,—საშუალო მან. 300,000.—და შემდეგ მან. 200,000.

5) სრულიად დამთავრებული ნახატები შემსრულებლის ფსევდონიმით ცალკე კონვერტში და ამ ფსევდონიმის ვინაობის აღნიშვნით მეორე კონვერტში წარმოდგენილ უნდა იყოს ორივე. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში **ექსპედიციის კომისრის სახელზე** არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25-სა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ბრძოლა ძალა-უფლებისათვის ინგლისში

დიდი ბრიტანეთის მაღაროს მუშების და მათთან ერთად მთელი დანარჩენი მუშათა კავშირების ბრძოლა კაპიტალისა და მის დამცველ სახელმწიფოს წინააღმდეგ ღებულობს გადამწყვეტ ხასიათს. ხანგრძლივმა მოძრაობამ ტრედ-უნიონიზმის, ვიწრო კორპორატიული პროგრამის ფარგლებში, დაუმტკიცა ინგლისის პროლეტარიატს, რომ მისი მდგომარეობის რადიკალური შეცვლა არსებულ სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობათა ნიადაგზე შეუძლებელია. კლასთა ბრძოლის უდიდეს ეპიზოდების მაგალითზე, განსაკუთრებით უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, ის დარწმუნდა, რომ არსებული სახელმწიფო და მისი ხელმძღვანელი ბურჟუაზიული მთავრობა ყველა ამ კონფლიქტებში გამოდის დამცველათ მოწინააღმდეგე მხარის. ამნაირათ ბრძოლა არსებულ რეჟიმის რადიკალურათ შეცვლისათვის და ამ რეჟიმის მოდარაჯე ძალის წინააღმდეგ დადგა ინგლისის პროლეტარიატის მოძრაობის დღის წესრიგში. მარა ეს კიდევ ცოტაა. დაწყებულ გადამწყვეტ ბრძოლაში ინგლისის პროლეტარიატს მძიმე ტვირთათ აწევს ბურჟუაზიასთან შეთანხმებელ „ბელადების“ მოღალატური მუშაობა. არა ერთხელ ჩაუცია მათ ზურგიდან მახვილი თავის ბატონების წინააღმდეგ ამდგარ პროლეტარიატისთვის და ხელი შეუწყვია მის დამარცხებისთვის. ინგლისის მუშებში თანდათან ქრება ძველი გავლენა და პრესტიჟი ეგრედ წოდებულ ლიდერების. ჩვენ მოწამენი შევიქენით უკანასკნელ ხანებში შეურიგებელი კამპანიის მათ წინააღმდეგ. უნდობლობა მათდამი—ეს უდიდესი მონაპოვარია, ინგლისის მუშათა კლასის მიერ თავის ხანგრძლივ გამოცდილებით შეძენილი. ამნაირათ ბრძოლა კაპიტალისა და მისი დამცველ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ბრძოლა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ, წარმოება ამ ბრძოლის იმ ხელმძღვანელებთან ერთად, ვინც მას მხარს დაუჭერს, ხოლო იმათ წინააღმდეგ, ვინც არ მოიშლის თავის ტრადიციულ შეთანხმებელ, მოღალატურ მოქმედებას—ასეთი გადამჭრელი ლოზუნგების ნიშან ქვეშ წარმოებს მოძრაობა ინგლისის მემაღაროების და მათი დამხმარე იუნიონების ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ინგლისურ გაზეთების თანახმად, ცნობილმა მოქმედების კომიტეტმა, რომელიც არის ორგანო ეგრედ წოდებული „სამთა კავშირისა“, მოუწოდა საყოველთაო გაფიცვის მოსამზადებლათ, ლოზუნგით „მთელი ძალა-უფლება მუშებს“. მოძრაობის ხელმძღვანელები გადაჭრით აფრთხილებენ მთავრობას, რომ თუ ის დაიწყებს თეთრგვარდიელების შეკრებას სპეციალურათ მოძრაობის ჩასაქრობათ, ამ შემთხვევაში მუშები შექმნიან თავის დასაცავათ წითელ არმიას. მუშათა წითელი არმია ბურჟუაზიის თეთრგვარდიელების წინააღმდეგ დარაზმული, გამოყვანილი ბრძოლაში ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ ასეთ ენას ინგლისის პროლეტარიატის მხრივ არ არის ჩვეული დიდი კოლონიალური სახელმწიფოს ბურჟუაზია. საყოველთაო ეკონომიური კრიზისის პირობებში, რუსეთის რევოლიუციის უშუალო გავლენით მოხდა ის, რომ ინგლისის პროლეტარიატი თავს აღწევს ტრადიციულ შეგუების, ოპორტუნიზმის, შერიგების გზას ნაციონალურ ბურჟუაზიასთან და ადგება ბრძოლის გადამჭრელ საშუალებებს ხელს ჰკიდებს ამ ბრძოლის მაგარ მეთოდებს. ეს გარემოება ჰქმნის ძალთა ახალ გადაჯგუფებას ინგლისში და აშკარათ მთელი ერი იყოფა ორ შეურიგებელ ბანაკათ და ამ ბანაკების შეთანხმებაში იმედი ეკარგებათ ისეთ პროფესიონალურ ჟონგლიორებსაც კი როგორიც არის „გამოქნილი“ ლოიდ-ჯორჯი. ინგლისი ჩავარდნილია ახალ განსაცდელში, განაცხადა მან. ეს განსაცდელი მდგომარეობს მუშათა პარტიის ფენომენალურ ზრდაში, მის გაძლიერებაში' ეს პარტია ცდილობს გაპოს შუაზე მთელი ჩვენი საზოგადოება, დაფლითოს ნაწილებათ მისი ძველი პოლიტიკური პარტიები. უნდა ვიხსნათ იმპერია ასეთი განსაცდელისაგანო, მოუწოდებს ის ბურჟუაზიულ საზოგადოებას. როგორც მიღწეული [illegible] პოლიტიკური ლოზუნგების, ისე პოლიტიკურ ძალთა ახალი გადაჯგუფება, რომელიც სწარმოებს ასეთ ლოზუნგების ქვეშ წარმოებულ მოძრაობის გამო აშკარა დამჩვენებელია, რომ ინგლისის პროლეტარიატი სცილდება გაბედულათ ძველ გზას და, აღჭურვილი, ამდენი გამოცდილების შემდეგ, რევოლიუციონური შეგნებით და მტკიცე ბრძოლის ნებისყოფით, გადადის დღეს კაპიტალის ციხე-სიმაგრეების შეტევაზე. როგორიც არ უნდა იყოს ახლო მომავალში რეალური შედეგი ამ ბრძოლის, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და დიდ ისტორიულ შესაძლებლობათა მატარებელია თვით ფაქტი ახალი, რევოლიუციონური ბრძოლის მეთოდების, რომლებითაც გამოდის დღეს ინგლისის მუშათა კლასი ბურჟუაზიული საკუთრებისა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წინააღმდეგ. **მხოლოდ გამოსული გაშლილ სამოქალაქო ომის ასპარეზზე ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ, წინააღმდეგ ერთ და იმავე დროს თავის კლასიურ ბატონებისა და მათი ფაქტიურათ დამხმარე მუშათა დღევანდელი „ლიდერების“—მხოლოდ ამ გზით მიაღწევს ინგლისის პროლეტარიატი თავის და იმავე დროს საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვებას.**

პრესის მაგიერ

ბურჟუაზიული კერძო საკუთრება, ბურჟუაზიული სახელმწიფო ყველა თავის ჩვეულებრივი ატრიბუტებით ჰკვებავს ომს. თვით თავისი სოციალური ბუნებით ასეთი რეჟიმი და ამ რეჟიმის მატარებელი კლასი ართულებენ მიზეზებს ეროვნულ ან სახელმწიფოებრივ განცალკევებისას, სოციალურ და ნაციონალურ წინააღმდეგობათა შეურიგებლობისას. ამას ვერ ასცდა რასაკვირველია კავკასიაც. აქ იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოები, კავკასიავე იყო წარსულში ასპარეზი ეროვნული შუღლისა და მტრობის. საბჭოთა სისტემის შემოღებით, როდესაც ძალა-უფლება გადადის მშრომელი მასების ხელში და ბურჟუაზიულ საკუთრებაზე აშენებული ეკონომიკა ირღვევა, ბუნებრივია, რომ იშლება ის ხელოვნურათ აღმართული ზღუდეები ხალხთა შორის, რომელიც ამწვავებდა მათ შორის დამოკიდებულებას და გამოდიოდა მუდმივი კონფლიქტების მიზეზათ. ეს აზრი გამოსთქვა თავის სიტყვაში პირველ მაისს ამხ. ნარიმანოვმა. მუშათა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგო, სთქვა მან, „ყველა ხელოვნური ზღუდეები—ეროვნული, სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური, რომელიც აღმართული იყო კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა შორის ინგრევა და კავკასიის ერები იცხოვრებენ მშვიდობიანათ და სოლიდარულათ“-ო. ეს ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და მომავალშიც გვექნება შემთხვევა გავიმეოროთ იგივე. ხოლო დამფრთხალ გონებას და წარსული ისტორიული სინამდვილის სიდუხჭირით შექმნილ სულიერ აფორიაქებას და წონასწორობის დაკარგვას შეუძლია დაინახოს ყოველივე ამაში კერძოთ საქართველოს მიწა-წყლის, მისი ტერიტორიის, მისი ენის, კულტურის, მთელი მისი დამოუკიდებლობის შებღალვა, როგორც ეს მოსჩვენებია გაზ. „სოციალ-ფედერალისტ“-ის თანამშრომელს, მოქ. ზ. ნ—ს. ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვის სურვილით ამოძრავებული, ავტორი მსჯელობს საქართველოს ტერიტორიალური საზღვრების შესახებ და წარმოსთქვამს აზრებს საზოგადოთ საზღვრების ცნების განსამარტავათ. საზღვარიო—აცხადებს ავტორი დინჯათ—ორმაგი ცნებააო, მას ორი მხარე აქვს. ერთ მხარეზე სცხოვრობ შენ, მეორეზე—შენი მეზობელიო. მოკლეთ და მარტივათ. მთელი ეს სიბრძნე საჭირო შეიქნა წარმოეთქვა გ. ზ. ნ—ს, რომ დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობა... ამხ. ნარიმანოვისაგან. ამას ჰქვია მიიყვანო კითხვა ad absurdum.

* * *

იგივე გაზეთი ეხება საკითხს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესასწაულის შესახებ მიმდინარე მაისის 26-ს და თავის თანამშრომელის პირით გვიყენებს კითხვას ჩვენ დამოკიდებულებაზე ამ დღესასწაულთან. „საზოგადოებრივი აზრი დაჟინებით კითხულობს, იდღესასწაულებენ კომუნისტები ოცდა ექვს მაისს თუ არა“-ო. ვუპასუხებთ: ვიდღესასწაულებთ! მენშევიკების ხელში საქართველო შეიქნა დამოუკიდებელი მეზობელ ქვეყნების მუშათა კლასისაგან და სრულიად დამოკიდებული ანტანტის იმპერიალიზმისაგან. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი შეფასება იმ კონკრეტულ ისტორიულ გარემოების, რომელშიაც გამოცხადდა აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის და იმ შინაარსის, რომელსაც აძლევდენ ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ბატონ-პატრონები ამ „დამოუკიდებლობას“, დღეს მუშურ გლეხურ ხელისუფლებამ უნდა მისცეს მას ისეთი, რომელიც შეეფერება პროლეტარიატის და დაჩაგრული ერების ინტერესებს იმპერიალიზმთან გაფართოებული ბრძოლის პირობებში. ჩვენ ვიდღესასწაულებთ, საქართველოს მშრომელ მასებთან ერთად ჩვენ მოვაწყობთ დღესასწაულს საქართველოს დამოუკიდებლობისას, ჩვენ ვიბრძოლებთ ამ დამოუკიდებლობის ჭეშმარიტ გამტკიცებისათვის, რადგან ასეთი გზა სძევს ჩვენი სხვა დიდი მიზნებისათვის წარმოებულ ბრძოლის ხაზზე, რადგან მხოლოთ მუშურ-გლეხურ საქართველოს შეუძლია იყოს მართლა ჭეშმარიტი და მტკიცე მატარებელი თავის ქვეყნის ნაციონალური განთავისუფლებისაც სულთამხუთავ იმპერიალიზმის ბრჭყალებიდან.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

ამხ. ტროცკის თანამოხსენება პროფ-კავშირების შესახებ.

ტროცკი. (დასასრული) შემდეგ: „პროფესიონალური კავშირები, როგორც კომუნიზმის სკოლა“. აქ, ამხანაგებო, ბევრი ზოგადი საკითხებია. შეუძლებელია ასე უსისტემოთ და აბნეულად საკითხის დასმა. აქ ნათქვამია: „უდიდესი როლი პროფესიონალურ კავშირებისა საბჭოთა რუსეთშიც რჩება ერთი-როლი მათი, როგორც კომუნიზმის სკოლისა“. ასე იწყება თავიდან: „საბჭოთა რუსეთშიც“. რას ნიშნავს ეს? ამხ. ზინოვიევი გვეუბნებოდა ჩვენ, რომ ევროპაშიც ეს საკითხი დღეს-დღეობით მთავარ როლს თამაშობს. მაგრამ ევროპაში ხომ ბურჟუაზიის დიქტატურაა, ჩვენში კი პროლეტარიატის. და მხოლოდ ამიტომ წამოიჭრა ეს საკითხი ჩვენ წინ ახალი ფორმით. რისთვის-ღა უნდა გავთქვიფოთ იგი საერთო ევროპიულ საკითხში? ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის თავისებურებიდან და მუშათა კლასის დიქტატურიდან (რასაკვირველია, ქვეყანაში, სადაც გლეხური უმრავლესობაა, მაგრამ ამ შესწორებას ყველა ჩვენთაგან იღებს) და აგრეთვე ამ დიქტატურის მომენტების განსაკუთრებული პირობებიდან. ჩვენ კი უნდათ დაგვაცილონ-დაგვაშორონ არა მარტო ამ მომენტიდან, არამედ მთელ მუშათა რესპუბლიკიდან საერთოდ და გვეუბნებიან: „საბჭოთა რუსეთშიც ისე, როგორც ბურჟუაზიულ ქვეყნებში“. სწორეთ ამითი იწყება პირველი თავი. განა ბაასი მეფის რუსეთზე, გერმანიაზე, საფრანგეთზეა? რა კავშირი აქვს ამასთან „კომუნიზმის სკოლას?“ კომუნიზმის სკოლის მიზანია სწერია რევოლიუციაში, გარდაქმნა ნახევრათ პროლეტარული ელემენტებისა, შეგუება შეთვისება მათი კომუნისტური საზოგადოებათა შექმნის საქმისადმი. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ეს ზოგადი ფრაზაა. რას ნიშნავს გარდაქმნა, შეგუება შეთვისება? როგორ? რა საფუძვლებზე? შემდეგ ლაპარაკია მუშათა ფართო წრეების სამეურნეო და კომუნისტური აღმშენებლობის საქმეში დიდის გულუხვობით და მასპინძლობით ჩათრევაზე. როგორ? რა საფუძვლებზე? ამაზე ხომ ყველა ლაპარაკობს. არ არის არც ერთი დეკრეტი რომელიც რომელ ორგანოსაც არ უნდა ეხებოდეს ამ „ჩათრევაზე“ არ მიუთითებდეს ყველას. მაგრამ როგორ? ჩვენ გვაქვს სპეციფიური ორგანო „ჩათრევისა“ ეს მუშურ გლეხური ინსპექცია. როგორია ფორმები ამ ჩათრევისა? რითი განსხვავდებიან ამ შემთხვევაში პროფესიონალური კავშირები? რა არის კონკრეტიული მიზნები? ამაზე არაფერია ნათქვამი.

მე-7 გვერდზე სწერია: „საბჭოთა რუსეთის პროფესიონალურ კავშირებისათვის ცნება „კომუნიზმის სკოლა“ შეიცავს აგრეთვე „სამეურნეო აღზრდის მომენტსაც“ გესმით აგრეთვე „სამეურნეო აღზრდის მომენტსაც“ ესე იგი პირველში იწყება რაღაც გარდაქმნა, შეგუება-შეთვისება და გარდაქმნისა „კომუნიზმის სკოლა“ როგორც ხედავთ, „შეიცავს აგრეთვე სამეურნეო აღზრდის მომენტსაც“. მე ვშიშობ, რომ ეს ვლადიმერ ილიასძეს არ დაუწერია, ეს მისი ხელი არ არის. „საბჭოთა რუსეთის პროფესიონალურ კავშირებისათვის ცნება—კომუნიზმის სკოლა, შეიცავს აგრეთვე“.. დაიხსომეთ: „სამეურნეო აღზრდის მომენტსაც“. „აგრეთვე“. აქ ერთგვარი დათმობაა მწარმოებლის თვალსაზრისისათვის და გვეუბნებიან ჩვენ: „პროფესიონალური კავშირები კომუნიზმის სკოლაა, რომელიც გარდაქმნის აგუებს-ათვისებს და ამას გარდა შეიცავს კიდევ ერთ პატარა მომენტს—სახელდობრ „სამეურნეო აღზრდას“. შემდეგ—წინათნათქვამის სრულებით საწინააღმდეგოთ სწერია.—„თავის დანიშნულებას კომუნიზმის სკოლისას, კავშირები შეასრულებენ იმდენად, რამდენათ ისინი არიან ხელმძღვანელები პროლეტარული მასსებისა და აგრეთვე მეურნეობის კომუნისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის საქმისა“. ცხადია, თუ საჭიროა „იმდენათ, რამდენათ“ მაშინ რაღა აზრი აქვს „აგრეთვე“-სა და მომენტს. მე ვიმეორებ აქ ყოველ ნაბიჯზეა წინააღმდეგობა და გაუგებრობა. ეს უხეიროთ არის დაწერილი, ეკლექტიკურია და შეუთანხმებელიც, ერთი სიტყვით არ ვარგა. შემდეგი თავი: „საკითხი პროფესიონალური კავშირების გასახელმწიფოებრივობის შესახებ“. უკეთესი აქაც არაფერია. „პროფესიონალურ კავშირების საჩქაროთ გასახელმწიფოებრივობა—სწერია აქა—იქნებოდა ერთი დიდი და მასთან მთავარი შეცდომაც“. რას ნიშნავს საჩქაროთ? ე. ი. რამდენი ვერსი საათში?

ეს საკითხის ზერელეთ დასმას ნიშნავს, გაუგებრობას და ყალთაბანდობას. აბა ვსთქვათ ჩვენი განვითარება არის თუ არა მიმართული პროფესიონალურ საბჭოების გასახელმწიფოებრივობისაკენ? თუ არის აქეთკენ მიმართული, მაშინ გამოსარკვევია რა მიზეზებზეა დამოკიდებული ამ განვითარების ტემპი. ცხადია, იგი დამოკიდებულია თვით მეურნეობის მოწყობა-შენებაზე, კავშირებში დარაზმულ მუშათა მასსების ფაქტიური მნიშვნელობის გაძლიერებაზე. სხვაგვარათ რომ ვსთქვათ, მეურნეობაში კავშირების მნიშვნელობის გაძლიერება თავის და თავად ნიშნავს მათ თანდათანობით გასახელმწიფოებრივობას. და თუ ჩვენ მიზნათ ვისახავთ მეურნეობაში კავშირების როლის გაძლიერებას, ამითივე ჩვენ ხელს ვუწყობთ მათ გასახელმწიფოებრივობას. მაგრამ რას ნიშნავს სიტყვა „საჩქაროთ“ ეს ჩემთვის დღესაც გაუგებარია. „გასახელმწიფოებრივობის ტემპის ხელოვნურათ დაჩქარება, მიგვიყვანდა მხოლოდ იქამდის, რომ პროფესიონულ კავშირების როლი, როგორც კომუნიზმის სკოლისა, უფრო შეფერხდებოდა და გაძლიერდებოდა.

აქ არ არის გარკვეული რას ნიშნავს „ტემპის ხელოვნურათ დაჩქარება“. ჩვენ ამ ჟამად საქმე გვაქვს ისეთ მდგომარეობასთან, როცა კავშირები მწარმოებლის სახეს დასცილდენ და მათში დაისაკუთრა მომხმარებლის ფსიხოლოგიამ. და რაღა საჭიროა აქ ლაპარაკი ამ ტემპის ხელოვნურათ დაჩქარებაზე? ანა და როგორ შეიძლება თვით გასახელმწიფოებრივობამ თავის და თავად ავნოს პროფესიონალურ კავშირების მნიშვნელობას, როგორც კომუნიზმის სკოლისას. თუ არასახელმწიფოებრივი სკოლა კომუნიზმისა უფრო უკეთესია, მაშინ რაღა საჭიროა მის გვერდით, იმავე საფუძვლებზე ვაშენოთ სახელმწიფოებრივი სკოლები? აიღეთ თუ გინდათ საბჭოთა მე-8 ყრილობაზე გაკეთებული მოხსენება მუშურ-გლეხური ინსპექციისა. პირველ გვერდზე ნათქვამია: მუშურ-გლეხური ინსპექციის დანიშნულება იმაშია, რომ გახდეს კომუნიზმის სკოლათ. ეს სახელმწიფოებრივი ორგანოა, რომელიც ქმნის თავის საქარხნო იაჩეიკებს, კავშირების იაჩეიკებისა დაგვარათ. რატომ ხდება, რომ მუშურ სახელმწიფოში თვით ეს აქტი გასახელმწიფოებრივობისა აფერხებს იდეას კომუნიზმის სკოლისას. თუ ჩვენ, ამხანაგებო, ძალა არ შეგვწევს სახელმწიფოებრივი ორგანოები გადავაქციოთ კომუნიზმის სკოლათ, მაშინ ბევრ სხვაზე და უფრო დიდ მიზნებზე ხელი უნდა ავიღოთ. შემდეგ—„დარწმუნებითი მეთოდები და მეთოდები პროფესიონალურ კავშირების იძულებისა“.—ასეთი ფორმულირებაა, მართალია, არ არის მთლად სწორი, მაგრამ საერთოდ არ არის სადაო. ამის წინააღმდეგ ჩვენ არას ვამბობთ. და რომ ამ ნიადაგზე ტყუილ-უბრალოთ არ დაწყებულიყო დავა და კამათი, არ შექმნილიყო გაუგებრობანი და მით დემაგოგიის საშუალება [illegible]

დღეს ნომერში:

საქართველოს მუშა-მოსამსახურეთათვის პურის მომარაგების საქმე წარმატებით მიდის: შეძენილია როგორც ჩრდილო-კავკასიაში, ისე შინაურ ბაზარზე რამოდენიმე ასიათასი ფუთი პური და სიმინდი

ლენინის წერილი გლეხებისათვის დახმარების გაწევის შესახებ.

პირველი მაისის დღესასწაული საბჭ. რუსეთში დიდებულად ჩატარდა.

გერმანიის ნოტა ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ესტონეთში კომუნისტებს სდევნიან.

ბობდა, რომ შერჩევა მოასწავებს გადარჩევას დანიშვნას და სხვა- ახლა კი ტომსკის მიერვე ხელმოწერილ რეზოლიუციაში ჩვენ ვკითხულობთ: „ხელმძღვანელი პერსონალის შერჩევა ხდება თვით პარტიის მიერ“. და სხვა. შემდეგ იწყება: „კავშირები და ქვეგანყოფილებანი“. ეს პრინციპიალური ხასიათის პუნქტი არ გახლავთ, მაგრამ დასაშვები მაინც არ არის, რადგან საოცრათ ყალბია. მაგრამ, ამხანაგებო, მე ყოველ შემთხვევაში გაგახსენებთ როგორ პირობებში ხდებოდა „გლავპოლიტპუტის“ შექმნა. მე 9 ყრილობის რეზოლიუციაში ნათქვამია: „ამავე დროს ყრილობა აღიარებს, რომ საჭიროა ეხლავ დაუყონებლივ მიღებული იქნეს განსაკუთრებული და აუცილებელი ზომები (სამხედრო წესები და სხვა), რომელნიც ნაკარნახევია ტრანსპორტის საშინლად დაცემისა და დაკნინებისაგან და რომელსაც მიზნად ექნება დასახული მიუცილებელი და გადაუდებელი სასწრაფო ზომების მიღებით თავიდან აგვაცილოს მისი საბოლოო პარალიჩი და მასთან დაკავშირებული საბჭოთა რესპუბლიკის დაღუპვაც.“ თქვენ გესმით „საბოლოო პარალიჩი და მასთან დაკავშირებული საბჭოთა რესპუბლიკის დაღუპვაც“. და სწორეთ ერთი წლის უკან გადაწყვეტილი იყო ასეთი განსაკუთრებული ზომების მიღება. „გლავპოლიტპუტი“ მე-9 ყრილობაზე იქმნებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტრანსპორტი გადაგვერჩინა.

პირველში ზოგიერთებს სურდათ მისი ნამუშევრის გაქარწყლება. მე არ ვიცი იცნობთ თუ არა თქვენ ტრანსპორტის სტატისტიკას. ზედმეტი არ იქნებოდა ვიცოდეთ ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ძირითადი ფაქტები. „გლავ პოლიტპუტმა“ დიდი გამარჯვება ნახა. რამდენიმე ათასი კომუნისტის გმირული მუშაობის წყალობით, რომელნიც ჩააბეს ამ სამუშევარში, მიღებულ იქნა პირველი სასურველ და სერიოზულ შედეგებამდის. ჩვენ გამოვიმუშავეთ გეგმა წლიურათ საშუალოთ 10.000 ორთქმავალის რემონტისა. ჩვენ 1920 წლის მეორე ნახევარში შევძელით და დავასრულეთ საშუალოთ 6000 ორთქლმავალის რემონტი და ამგვარი 1921 წელში [illegible] შე-ფერხდებოდა) ყოველ მიზეზის გარეშე 12,000 ორთქმავალის რემონტი. ამ დარგში მუშაობა სწარმოებდა მაგარი ზომების მიღებით, რასაკვირველია, მაგრამ პარტიამ ეს იცოდა, იგი ამ მუშაობას თვალყურს ადევნებდა და მას უფლება ქონდა ყოველ წუთში ეს მუშაობა შეეჩერებია. 28 აგვისტოს შეიქმნა ტრანსპორტის ც. კ. ტრანსპორტის ც. კ. მოღვაწეებმა პარტიის მე-9 ყრილობით წაქეზებულმა დაიწყეს გმირული მუშაობა, რომელმაც დაბეჯითებით მოგვცა დიდი გამარჯვება, რომელმაც იხსნა და გადაარჩინა საოცარ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი ტრანსპორტის. და ამ გამარჯვების უარყოფა პარტიის ყრილობისაგან, მას შემდეგ რაც იგი ცნობილი იქნა საბჭოების მე-8 ყრილობის ჩვენი ფრაქციის მიერ—იქნებოდა დაუშვებელი გარემოება. ამიტომ დამტკიცება იმისი რაც ნათქვამია ათთა (10) პროექტში, იქნება საოცარი უსამართლობა იმ მუშებისადმი, რომელიც თქვენ დააყენეთ ამ სამუშაოზე და იქიდან აღარ სხნით მათ.

გადავიდეთ ახლა პრაქტიკულ დებულებათა საკითხზე. ისინი იმდენათ გარკვეულნი არიან, დისკუსიის დროს, თავის დეტალებში, რომ მასზე მე თქვენ ყურადღებას არ შევაჩერებ. ალბად კომისია იქნება არჩეული და [illegible] პრაქტიკულ წინადადების შესახებ ამ კომისიაში ჩვენ [illegible] ვილაპარაკებთ და თუ იქაც ვერ შევთანხმდით, მაშინ ხელახლა გამოვიტანოთ აქ საკამათოდ. მაგრამ ერთი რამე დღესვე უნდა ვთქვა. აქ [illegible] გახლავს კავშირების როლის გაზრდა წარმოებაში. ათთა (10) პროექტში ყველგან ნათქვამია, რომ კავშირების მნიშვნელობა წარმოებაში დღეს ყველგან პატარაა, რომ საჭიროა მისი გაზრდა და გაფართოვება. მაგრამ, ამხანაგებო, აქ დავიწყებულია ერთი გარემოება, სახელდობრ, ისა, რომ დღეს-დღეობით პროფესიონალური კავშირები არსებობენ და მუშაობენ არა იმგვარად, როგორც ეს იყო 1917 წლის დასასრულში და 1918 წლის დასაწყისში, როცა მათ წინ მეურნეობის ორგანიზაციის საქმეში უდაბნო იყო გაშლილი ანა არა და მტრების მიერ დაკავებული ადგილები. დღეს დღეობით ჩვენ, ასე თუ ისე, დაწყობილი, შეიძლება ოდნავ მახინჯი, სამეურნეო ორგანიზაციის სისტემა გვაქვს. და აქ ეუბნებიან პროფესიონალურ კავშირებს: თქვენ უნდა გააძლიეროთ თქვენი ორგანიზაციული გავლენა წარმოებაზე. თქვენ, ბევრათ უფრო მაგრათ, ვინემ წინად, უშუალოდ უნდა აიღოთ ხელში სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა“.

ამ თეზისებში ეს ორჯერ-სამჯერ არის [illegible]

როგორი გზითა და საშუალებით? თქვენ იცით, რომ ბრძოლა სწარმოებდა შეხორცვის წინააღმდეგ. პროფესიონალურ კავშირებს სამეურნეო დარგში დღეს ყავთ განკარგულებაში არსებული ორგანიზაციული, საბჭოთა, სახელმწიფო აპარატი. როგორ შეუძლიათ პროფესიონალურ კავშირებს გააძლიერონ თავისი სამეურნეო ხელმძღვანელობის მნიშვნელობა: ამ აპარატის გარეშე, მისი შემწეობითა და დახმარებით, თუ მასთან შეხორცვით? აი ეს გახლავთ ის საკითხი, რომელსაც ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვეჯახებით. მუშათა ოპოზიციას ტენდენცია ქონდა გადაეწყვიტა ეს საკითხი ისე, რომ პროფესიონალური კავშირები ხელში იგდებენ მეურნეობას, იმ სამეურნეო ორგანოების ჩამოცილებით, რომელშიც ჩაქსოვილია ჩვენი 3 წლის აღმშენებლობითი ცდანი. ეს გადაწყვეტილება პირდაპირ შეუძლებელია მივიღოთ. ათთა (10) პროექტში ნათქვამია, რომ წარსულში პროფესიონალური კავშირები და სამეურნეო ორგანოები არსებობდენ პარალელურათ და ეს მართლდებოდა იმით, რომ სამეურნეო ორგანოები სუსტნი იყვნენ. მაგრამ რა იქნება მომავალში? მომავალში ალბად პროფესიონალურ კავშირებს დასჭირდებათ იმოქმედონ არა გარეშე, ან წინააღმდეგ სამეურნეო ორგანოებისა, ისე რომ არც გაანადგურონ ისინი და არც იმუშაონ მათთან პარალელურად, არამედ ორგანიზაციულად მათთან შეთანხმებით, რომელი ბოლოს და ბოლოს მათთან შეხორცვას მოასწავებს. ამ საკითხში თქვენ გაიძულეთ უკვე ზოგიერთ დათმობაზე წასულიყავით. ჩვენ შევძლით ისე, რომ სრულიად რუსეთის ყრილობები პროფესიონალურ კავშირებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოებისა მოხდება ერთსა და იმავე დროს, ერთი საერთო დღის წესრიგით და ძირითად სერიოზულ საკითხებში საერთო სექციური მუშაობის წარმოებით და სხვა. და თუ პირობები ხელს შეგვიწყობენ, ჩვენ შევძლებთ გადავდგათ სერიოზული ნაბიჯი მათი ორგანიზაციულ შეერთებისა და შეხორცვის საქმეში, გარდა ამისათვის ლათ ყალბი და შემცდარი, თავიდან ავიცილოთ ეს გაუგებარი ფორმულირობა, რომელიც არაფრით არ ამდიდრებს არც ჩვენ პარტიასა და არც ინტერნაციონალს. აი ამხანაგებო, რატომ არ შეგვიძლია ჩვენ გირჩიოთ ხმა მისცეთ ამ რეზოლიუციას. ამხ. ზინოვიევი გეუბნებოდათ თქვენ თითქოს, ეს რეზოლიუცია ყველაფერს შეიცავს, თითქოს მის სიმართლეში ჩვენ დავრწმუნდით, რომ არსებობს ორი მსოფლ მხედველობა, ორი მეთოდი ბრძოლისა, ორგვარი დამოკიდებულება პარტიისა მუშათა კლასისადმი და გლეხობისადმი და სხვა და სხვა. მაგრამ ეს ასე არ არის. ეს საზღაპროდ გადიდებაა სინამდვილისა. ჩვენ დღეს ყველაზე უფრო მძიმე პერიოდში ვიმყოფებით. ყველაზე უფრო საოცარი შესაძლებლობის წინაშე. და თუ ამ თვალ აზრისით მიუდგებით პროფესიონალური კავშირების საკითხს, თქვენ უფრო დინჯათ შეხედავთ ამ უთანხმოების და გამონახავთ ნამდვილსა და სწორს გზას, რომელიც ყველაზე უფრო ხელს შეუწყობს თვით პარტიის გაერთიანებას. (ტაში).

საბჭოთა საქართველო

სალამი წითელ ლაშქარს.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მახარაძემ № წითელ ლაშქრის სარდალის ამხ. გეკერის სახელზე შემდეგი დეპეშა გაგზავნა:

„ძლევამოსილ წითელ ლაშქარს, შრომის შეიარაღებულ [illegible], საერთაშორისო და სამშობლოს კონტრ-რევოლიუციის დამმარცხებელს, კავკასიის შევიწროებულ ხალხთა გამანთავისუფლებელს, ახალ კომუნისტურ ცხოვრების აღმშენებელს, ბურჟუაზიის მტერს და მსოფლიო პროლეტარიატის იმედს—პირველმაისის დიდ დღესასწაულის დღეს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი უგზავნის მხურვალე და აღფრთოვანებულ სალამს. გაუმარჯოს წითელ ლაშქრის ავანგარდს—მე-11 ლაშქარს მათ სახელოვან მებრძოლთა სახით—წითელ ლაშქრების სარდალს და სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს. საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

მისალმება რევკომის თავმჯდომარე ამხ. მახარაძეს.

ს. ს. ს. რ. რევკომის თავმჯდომარის ამხ. მახარაძის სახელზე პირველი მაისის დღესასწაულის გამო მიღებული შემდეგი დეპეშები:

1) მე-11 არმიის შტაბისაგან: „მუშათა და გლეხთა წითელი მე-11 არმიის შტაბი ულოცავს საქართველოს განთავისუფლებულ პროლეტარულ დღესასწაულს. მე-11 არმიის შტაბის უფროსი **კუზნეცოვი.** სამხედრო კომისარი **მისროზი.**

2) მე-11 არმიის უფროსის გეკერისაგან: „მთელი ქვეყნის მშრომელთა დღესასწაულის დღეს, პირველ მაისს, გულითად გილოცავთ თქვენ, საქართველოს განთავისუფლებულ მშრომელთა ბელადს, მუშათა და გლეხთა მე 11 წითელი ლაშქრის სახელით და გამოთქვამ რწმენას, რომ საბჭოთა რუსეთის შეარაღებული მუშები და გლეხები დარაჯად ედგებიან ყველთვის საბჭოთა საქართველოს წმიდა მშრომელ ხალხის ინტერესებს. მე-11 არმიის უფროსი **გეკერი.**

საქართველოსთვის პურის დამზადება ჩრდილო-კავკასიაში.

სახალხო სასურსათო კომისრის მოადგილე ამხ. ერქომაიშვილმა გრუზტას თანამშრომელს საუბარში გააცნო შედეგები იმ თათბირისა, რომელიც მოხდა სახალხო სასურსათო კომისარიატში მაისის სამს საქართველოსათვის ჩრდილოეთ-კავკასიაში პურის დამზადების შესახებ. თათბირზე გამოირკვა, რომ ფრონტის სასურსათო კომიტეტის გამგე ამხ. ბელენკი შეჰპირდა დახმარებას პურის დამზადების საქმეში რკინის გზის მუშებისა და ზოგიერთ წარმოებისათვის, რომელთაც მნიშვნელოვანი ხასიათი აქვს. როგორც მაგალითად, შავი ქვის და ქვანახშირის მაღაროები. ამ კატეგორიის მუშებს დააკმაყოფილებენ იმ მარაგიდან რომელიც მიცემული აქვს ამხ. ბელენკის მოსკოვიდან 300,000 ფუთისა.

რაც შეეხება კავკავში სიმინდის დამზადებას, იგი სწარმოებს უკვე, მაგრამ საქართველოს სამხედრო გზაზე ტრანსპორტის უქონლობა რამდენიმეთ აბრკოლებს სიმინდის გადმოზიდვას ტფილისში. ახლო მომავალში განზრახულია კავკავში სპეციალურ სამარშრუტო შემადგენლობის გაგზავნა, რომელიც მოიტანს 30,000 ფუთ სიმინდს. სულ დამზადებულ იქნება 100,000 ფუთი სიმინდი. ამ. ერქომაიშვილმა აღნიშნა აგრეთვე, რომ პურის დამზადებას შეუდგნენ თვით საქართველოში, ასე მაგალითად, ქართლში დამზადებულია 10,000 ფუთი ხორბალი.

ამ ჟამად, სთქვა ამხ. ერქომაიშვილმა, მუშების და მოსამსახურეთა პურის მომარაგების საქმეში მოხდა გადატეხა და შესაძლებელი გახდა დასარიგებელ პურის ღირსების თანდათანი გაუმჯობესობა.

პირველმაისობა პროვინციაში.

ახალქალაქი. 3 მაისი (ტელეგრაფით). მაისის დღესასწაულს დიდი ზეიმით. მოეწყობილ იქმნა საზეიმო სვლა, კონცერტები, მიტინგები, წარმოდგენები, საბავშვო გასართობები მონაწილეთათვის, მუშათა ბავშვებისათვის და ღარიბთათვის სადილები. პროლეტარიატი, გარნიზონი და ყოველი მშრომელი ქალაქისა უგზავნიან თავის ამხანაგურ სალამს და მილოცვას საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელ რევკომს მშრომელთა დამცველს-კომპარტიას და ქალაქ თბილისის მშრომელ ძმებს. პროლეტარიატი ფიცსა სდებს, რომ ის მუშა გლეხთა ხელისუფლების პირველ ძახილზევე ადგება პროლეტარულ რევოლიუციის მიერ მონაპოვართა დასაცავათ. ახალქალაქის მშრომელნი დარწმუნდენ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება გადაარჩენს მშრომელებს ეროვნულ ულლისაგან, მხოლოდ ის მიიყვანს კაცობრიობას სამართლიან სიცოცხლემდის და კომუნიზმამდის.

შულავერში.

შულავერი. 2 მაისი. (დეპეშით). 1 მაისის დღესასწაულმა თვალსაჩინოთ ჩაიარა, დილის 9 საათიდან შუა დღის 3 საათამდე მოეწყო დემონსტრაცია და მიტინგები, რომელშიაც ქალაქის მთელმა მცხოვრებლებმა მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის მახლობელ სოფლებიდან თათრებმაც. დილით ბავშვებისთვის წარმოდგენა გაიმართა. საღამოთი გაიმართა წარმოდგენები და კონცერტები. [illegible] განწყობილება საუცხოოა. ყველა გამოუკლებლივ მღეროდა — ინტერნაციონალს. ყველა ქუჩასა და მოედნებს პი[illegible] [illegible] ტარული რევოლიუციის ბელადთა სახელები უწოდეს. გახსნეს 26 სახელობის საგიტაციო პუნქტი.

მცხეთაში.

მცხეთა. 4 მაისი. (დეპეშით). 1 მაისს მოეწყო დიდი მიტინგი და პროცესია. მუშათა მიტინგებზე აღნიშნეს პირველი მაისობის დღესასწაულის მნიშვნელობა.

ფოთში.

ფოთი. 3 მაისს (დეპეშით) 1 მაისს ზეიმით გაიხსნა ორი თეატრი. დიდი წარმატებით ჩატარდა პირველ მაისობის დღესასწაული. მაისის 2 ფოთში ჩამოვიდა ტფილისის რკინის გზელთა საგიტაციო მატარებელი. მცხოვრებნი დიდი ინტერესით შეხვდნენ კონცერტებსა და მიტინგებს, რომელიც მოაწყო საგიტაციო მატარებელმა. პირველ მაისობამ ქალაქის მთელი მცხოვრებლები აალელვა. საბჭოთა დაწესებულებათა შენობები მორთული იყო მწვანე გირლიანდებით და დროშებით. გამართული იყო [illegible]. პირველ მაისს დილის 9 საათზე საკრებულოს მოედანზე [illegible] მუშებმა, პროფესიონალურმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირმა და აუარებელმა საზოგადოებამ. რევკომის თავმჯდომარის ამხ. გოგიას მოკლე სიტყვის შემდეგ დაიწყო მსვლელობა. ბაღში გაიმართა გარნიზონის ჯარის აღლუმი.

საბჭოთა რუსეთში

(ლენინის წერილიდან სასურსათო გადასახადის შესახებ).

მოსკოვი. 3 მაისი. (რადიო). 1921 წლ. გაზაფხულისათვის რუსეთის მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, რომ საჭიროა დაუყონებლივ გადამწყვეტი ზომების მიღება გლეხობის მდგომარეობისა და მისი საწარმოვო ძალების გასაუმჯობესებლათ, სახელდობრ გლეხობის და არა მუშების, იმიტომ, რომ მუშის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა პური. (გამოტოვებულია). ვისაც არ ესმის, რომ სწორედ გლეხობიდან უნდა დავიწყოთ, ვინც ფიქრობს, რომ ეს გლეხების პირველ ადგილზე წამოყენებაა და ეს პროლეტარიატის დიქტატურის აუარყოფაა ის... ძალი უფლებას. (დამახინჯებულია). პროლეტარიატის დიქტატურა—ეს არის პროლეტარიატის მხრივ პოლიტიკის ხელმძღვანელობა, პროლეტარიატი მთავარი კლასი უნდა... (დამახინჯებულია)... აწარმოვოს პოლიტიკა ისე, რომ გადასწყვიტოს უდიდესი ამოცანა. დაუყონებლივ საჭიროა ზომების მიღება გლეხობის საწარმოვო ძალების გასადიდებლათ, ასაწევათ. ჩვენ მხოლოდ ამით მივაღწევთ მუშის მდგომარეობის გაუმჯობესობას, მუშა გლეხთა კავშირის გაძლიერებას და ამ უკანასკნელით პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრებას. ის პროლეტარი, ან პროლეტარიატის წარმომადგენელი, რომელიც მოინდომებდა არა ამ გზით სვლას, მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, იქნებოდა... (დამახინჯებულია).. თეთრგვარდიელთა და კაპიტალისტთა დამხმარეც. შეუძლებელია მუშათა ჰამქრის მიზნის კლასიურ მიზნებზე მაღლა დავაყენოთ.. (გამოტოვებულია)... მთელი მუშათა კლასის ინტერესებისა, თავიდანვე საჭიროა სასწრაფოდ სერიოზული ზომების მიღება გლეხთა საწარმოვო ძალების განსავითარებლად, (დასასრული არ მიგვიღია).

პირველი მაისობა რუსეთში.

მოსკოვი. 3 მაისი. (რადიო). რუსეთი სწავლობს ახალ ცხოვრებას; ახალ მუშაობას, ახალ დღესასწაულს. დასვენების ფორმა, როგორც შრომის ფორმა გადმოგვცემს სოციალურ წყობილების [illegible] დღესასწაული უნდა იყვეს ჯერ კომუნისტური, ზოგადი, შედუღებული საკუთარი ფერის გარეშე, უნდა მოჰფინოს ფხიზელი, ხმიანი მხატრული სულიერი განწყობილება. რევოლიუციის ოთხი წლის განმავლობაში, ყოველ ახალ დღესასწაულით ჩვენ ვხედავთ საზოგადოებრივი კომუნისტურ ფორმასთან დაახლოვებას. 1921 წლის პირველი მაისი მოსკოვში არის ნათელი გამომხატველი მიღწეულ გამარჯვებისა. საზღვარ გარეთ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, 1 მაისის დღე ისახება ბრძოლის და ყოველ ღონისძიებითი მუშაობათ, მეფის სისხლიან-გამოსვლათა სადემონსტრაციო დღეთ. ამიტომ შრომის უქმეს აქვს იქ მკაცრი და ზოგჯერ ტრაგიკული ხასიათი. მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკას პირველად ამ წელში შეეძლო ედღესასწაულა 1-ლი მაისი, როგორც შრომის უქმე და შრომის ზეიმი. აქ იყო ღიმილი და სიცილი. ყველაზე წინ,—ბავშვები, რომელთაც თვით ბუნებამ მისცა პირველი ადგილი ქუჩაში სიცოცხლის დღესასწაულ სა. შემზღუდველ კედლებიდან სახლებისა, ფაბრიკებისა და კანცელარიებისა გამოვიდნენ ყველანი ცის-ქვეშ, რომ დაივიწყონ თავი და შეუერთდნენ ხალხის მასას. ყველგან მოედნებზე მიჰქრიან მსახიობები საგიტაციო ტრამვაები, საგიტაციო საბარგო ავტომობილები, აგიტატორები, მუსიკოსები, [illegible] და ამხიარულებენ მოზღვავებულ ხალხს. ყურადღებას იქცევს [illegible] საბარგო ავტომობილი [illegible] დახვა. გაჩერების დროს საბჭოთა მანქანა მუშაობს და ყოველმხრივ [illegible] [illegible] ახლად [illegible] ფურცლებს [illegible] მაისთან [illegible].

ახმაურებულ და ნათელ მხიარულებას ჰფენს ყოველ მხრიდან ზედი-ზედ მოძრავი ბავშვების საგიტ ტრამვაის ვაგონები. ბავშვები ახლოვდებიან ღიმილსიცილით, აქნევენ ხელსახოცებს და მიჰქრიან ქალაქის გარე უბნების ამწვანებულ მინდვრებისაკენ. დრო გამოშვებით მოსჩანს მანიფესტაციები. საზოგადო ყურადღებას იქცევს მწყობრი რაგი ამერიკულ ემიგრანტებისა.

თეატრის მოედანი გაჭედილია ხალხით, პროლეტარიატის ხოროს გამოსვლის მოლოდინში. მოედანი ლამაზად არის მორთული. ორიგინალურ მუშაობით, რესპუბლიკის წარმოებათა სხვა და სხვა დარგის გამოხატვით. ყველა დეკორაციები შემკულია ლოზუნგებით და დიაგრამებით.

ყველა თეატრებში და დარბაზებში მოწყობილია კონცერტები და წარმოდგენილ იქმნა საგანგებო პიესები. აკვარიუმში საბავშვო წარმოდგენაზე შეგროვდა 5000 ბავშვი. მოედნებზე წარმოდგინილ იქმნა მოძრავი წარმოდგენები და კონცერტები. პრესნას რაიონში დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო 15000 კაცმა. ზეიმი გაგრძელდა შუა ღამემდის. ჯგუფ ჯგუფად მოძრაობდა ხალხის ცოცხალი მასა [illegible] მოედნებზე და მოედ[illegible] გზნებული, მეტყველი, რომელიც [illegible] ლად ითვისებდა მსახიობთა გამოსვლას და ნათელ ლოზუნგებს, კარიკატურებს გუბროსტას ეკრანზე.

არხანგელსკში.

არხანგელსკი. 5 მაისი. (რადიო). პირველ მაისის დღესასწაული არხანგელსკში დაიწყო შრომის გმირთა პატივისცემით. ზეიმი დაიწყო ადგილობრივ ორგანიზაციის საზეიმო სხდომით. შემდეგ ქალაქში მოწყობილ იქნა მიტინგები და კონცერტები.

ვიატკაში.

ვიატკა. 4 მაისი. (რადიო). პირველ მაისის დღეს გადაწყვეტილ იქნა, რათა ყოველივე ეპატიოს იჟევის ქარხანაში მომუშავეთა მუშებს, რომლებმაც წვრილი დანაშაულით დაარღვიეს შრომის დისციპლინა.

ეკატერინობურგში.

ეკატერინობურგი. 3 მაისი. (რადიო). პირველ მაისს ღია ცის ქვეშ კინემატოგრაფი იყო გამართული. ეკრანზე აჩვენებდნენ პროლეტარიატის ცხოვრების სურათებს. ეკატერინობურგის 15 დიდს ქარხანაში გაიმართა საპატივცემო დაჯილდოვება შრომის გმირებისა, რომელნიც უმთავრესად დიდი ხნით მუშაობდნენ შეუცვლელად.

ორეოლში.

ორეოლი. 3 მაისი (რადიო). პირველ მაისს სასწავლებლებში თვალსაჩინოდ ჩაიარა საბავშვო სანახაობებმა. ქალაქმა ზეიმით იდღესასწაულა შრომის გმირთა პატივცემა.

ნოტა რ[illegible] [illegible]რიო საქმეთა მი[illegible]დმი.

მოსკოვი. 3 მაისს (რადიო) საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო აღენიშნა რუმინეთის მთავრობის დაუკმაყოფილებელი განმარტება, დნესტრის ლიმანში მომხდარ ამბების გამო. სროლამ, რომელსაც რუმინეთის მთავრობა „სადღეღ სროლას“ ეძახის, მიაყენა ფრიად მნიშვნელოვანი ზიანი უკრაინის ზოგიერთ ადგილებს, რომელნიც მდებარეობენ დნესტრის მარცხენა ნაპირზე. ბევრი აღმოჩნდა დაჭრილი. სწორედ ამ გვარად აღნიშნულია, რომ თეთრ გვარდიელების პეტლიურიელების ბანდები დნესტრის მეორე მხარეს გადადიან რუმინეთის ჯარის მფარველების ქვეშ. მოსკოვის საბჭოთა მთავრობა [illegible] მიღებულ ზომების შესახებ, რომ საბოლოოდ დამთავრდეს რუმინეთის ჯარის დნესტრის მიდამოებთან მოქმედება.

საბჭოთა რუსეთი და ფინეთი.

მოსკოვი. 5 მაისი. (რადიო). (დასაწყისი არ მიგვიღია)... ფინეთთან დამოკიდებულება პირველ ხანებში მეტად მძიმედ მყარდებოდა. ყოველივე მოლოდინის წინააღმდეგ, ფინეთის მთავრობამ თავიდანვე ჩვენი მუშაობის დასაწყისიდან დაგვიყენა წინ ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზები და სიძნელენი- ამ ჟამად იმედი აქვთ, რომ ამგვარი დამოკიდებულებანი ნელ-ნელა მოისპობა. საბჭოთა მთავრობას განზრახული ქონდა გაეგზავნა სავაჭრო დელეგაცია დიპლომატიურ დელეგაციასთან ერთად, მაგრამ ფინეთის მთავრობა რაღაცა მიზეზების გამო არ დათანხმდა მათ გამგზავრებაზე. მაგრამ ფინეთში თან და თან ეკონომიური კრიზისის განვითარებამ გავლენა მოახდინა პოლიტიკის შეცვლაზე. და ჩვენს სავაჭრო დელეგაციასაც საშვალება მისცა გელსინგფორსში გასვლისა. ყველა ეს შესვლა-შემოსვლანი შესამჩნევად... (გამოტოვებულია...)... გლეხთა პარტიისა და გლეხებზე დაყრდნობილი პარტია აგრეთვე სოციალ დემოკრატებზე... (გამოტოვებულია...)... ხელი შეგვიწყო ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენის საქმეში.

კრონშტადტის ამბოხების დროს მთელ ბურჟუაზიის და სოციალ-პატრიოტების სიმპატია იყო მეამბოხეთა მხარეზე. ამ მოვლენამ შესამჩნევად იმოქმედა მასზე, რომ ამბოხების ჩაქრობის შემდეგ ყველა მეამბოხენი გაიქცნენ ფინეთში... (დასასრული არ მიგვიღია).

საზღვარ-გარეთ.

გერმანიის ნოტა ანაზღაურების შესახებ.

(გარ. საქ. სახლ. კომ. ინფორმაც. განყოფილებისაგან).

ნაუენი. 27 აპრ. (რადიო) 24 აპრილ, ამერიკის რწმუნებულს გადაეცა შემდეგი ნოტა ანაზღაურების შესახებ: გერმანია მზათ არის ყოველი საშუალებით ხელი შეუწყოს ომისაგან აოხრებულ ოლქების აღდგენას, შეამსუბუქოს უბედურობის მძიმე ტვირთი და მოსპოს მტრობა. იგი მზათ არის თავს იდვას ქალაქების, სოფლების და ბინების აღდგენა, ან დახმარება გაუწიოს ამ საქმეში მოკავშირეთ მუშებისა და სხვა აღმშენებელ საშუალებების მიწოდებით. გერმანია აცხადებს, რომ ის მზათ არის აგრეთვე, გადიხადოს მუშების ხელფასი და ყოველივე მასალის ფასი. ყველაფერი ამის შესახებ დაწვრილებით წარმოდგენილია ანაზღაურების კომისიის მიერ. გერმანია

მზათ არის მიაწოდოს დანგრეულ ოლქების აღსადგენათ საჭირო მასალა. გერმანიის წინადადებანი დაკავშირებული არიან საერთაშორისო სესხთან, რომლისთვისაც გამორკვეული უნდა იყოს პროცენტების და განაღდების რაოდენობა. გერმანია მზათ არის მონაწილეობა მიიღოს იმ სესხში და მხარი დაუჭიროს მას, რათა ამით დაიჩქაროს ამ სესხის განაღდება. ეკონომიურ მდგომარეობის გამო, გერმანია 4 პროცენტზე მეტს ვერ მისცემს, რომ გერმანიის განცხადება გულწრფელია და ამის დასამტკიცებლად გერმანია მზათ არის ეხლავე დაუყონებლივ, გადასცეს ანაზღაურების კომისიის განკარგულებაში ერთი მილიარდი ოქრო მარკა: 150 მილიონი ოქროს მარკების ღირებულება—ოქროთი და ვერცხლით და საზღვარ-გარეთული ბანკნოტებით; 1850 მილიონი საიმპერიო ბანკების ბანკნოტებით, რომლებიც არა უგვიანეს სამი თვისა, უნდა გამოსყიდული იქმნენ საზღვარგარეთული ვალიუტით. თუ რომ შეერთებული შტატები, ან მოკავშირენი მოისურვებენ, გერმანია მზათ არის თავს იდვას ნაწილი იმ ვალისა, რომელიც უნდა გადუხადონ მოკავშირეებმა ამერიკას. გერმანიის მიერ ვალის გადახდის წესი უნდა გამოარკვიოს ექსპერტების კომისიამ. გერმანია მზათ არის ყოველი ღონის ძიებით უზრუნველჰყოს სესხზედ ხელის მომწერნი. ამ წინადადებათა მიღებით გერმანიის ყველა სხვა ვალი და აღდგენისთვის დაკისრებული თანხები უქმდებიან და გერმანიის კერძო ქონება თავისუფლდება. გერმანია ფიქრობს, რომ მისი წინადადება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ გაუქმებული იქნება გარანტიების სისტემა. ეს წინადადება ამტკიცებს იმას, რომ გერმანიას სურს თავის ნებით აანაზღაუროს შესაძლებლობის ფარგლებში ომით მიყენებული ზარალი. ამ შესაძლებლობის ფარგლების გამორკვევა კი, გერმანიის აზრით, უნდა მიენდოს ცნობილ ექსპერტების კომისიას, რომლის გადაწყვეტილებას გერმანია მიიჩნევს თავისთვის სავალდებულოდ. თუ რომ შეერთებული შტატები ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება შეიძლება გაადვილებულ იქნეს სხვა რომელიმე წინადადებით, გერმანიის მთავრობა მადლობას უძღვნის მას მის წარმოდგენისათვის. გერმანიის მთავრობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ ზავი და ქვეყნიერების კეთილდღეობა დამოკიდებულია აღდგენის საკითხის სამართლიან და სვინდისიერ გადაწყვეტილებაზე და იგი გააკეთებს ყოველივეს, რაც კი შესაძლებელია, რათა შეერთებულ შტატებს გაუადვილოს გერმანიის წინადადების წარდგენა მოკავშირეთადმი.

წითელი აჩრდილი.

რეველი. 1 მაისი. (რადიო) უკანასკნელ დღეებში რეველში და ესტონეთის სხვა ქალაქებში ხდება კომუნისტების მასიური დატუსაღება. სულ 38 კაცია დატუსაღებული, მათ შორის კომუნისტურ ფრაქციის მდივანი და პარლამენტის და ქალაქის საბჭოს რამდენიმე წევრი. კომუნისტების და პარლამენტის წევრების ბინებზე მოახდინეს გაჩხრეკა. დახურეს პროლეტარ ახალგაზდათა კავშირი და მისი თავმჯდომარე დაატუსაღეს. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მას აქვს შემოწმებული ცნობები ესტონეთში გადატრიალების სამზადისის შესახებ. მინისტრის სიტყვით, ჩხრეკვის დროს პარლამენტის წევრ კომუნისტებისაგან გამორთმეული დოკუმენტები ამას ამოწმებენ.

ამერიკის მეზღვაურთა საყოველთაო გაფიცვა.

მოსკოვი. 3 მაისი (რადიო). შეერთებულ შტატებიდან იტყობინებიან: გემთა კომანდის და საზღვაო სამინისტროს შორის მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ 1-ლ მაისს გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა.

წითელ დროშის ქვეშ.

ქრისტიანია. 1) მაისს (რადიო). დანიის კომუნისტურმა და პროფკავშირების ოპოზიციონურმა ფრაქციამ გამოაქვეყნა შემდეგი დეკლარაცია: „დანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი და პროფკავშირების ოპოზიციონური ფრაქცია, რომელიც არის პროფკავშირების წითელი საერთაშორისო ფედერაციის სექცია, გაერთიანდნენ მე-3-მე ინტერნაციონალის პრინციპების საფუძველზე. ორთავე ორგანიზაციები ერთად შეუდგნენ ყოველ დღიურ დიდ გაზეთის გამოცემას, რომლის საშუალებითაც ისინი აწარმოებენ ენერგიულ და შეურიგებელ ბრძოლას ბურჟუაზიულ საზოგადოების წინაალმდეგ.

კიდევ ერთი ბანაკი.

რიგა. 1 მაისი. (რადიო). გაზეთ „ჰუმანიტე“-ს მადრიდიდან იტყობინებიან, რომ ისპანიის ახალგაზდა სოციალისტთა კონგრესმა ხმის დიდის უმეტესობით დაადგინა შეუერთდეს მე-3-ე ინტერნაციონალს და შექმნას ახალგაზრდა კომუნისტთა ფედერაცია.

შეუგნებელ ველურების ნიშნების მეოხებით.

ნაუენი. 30 აპრ. (რადიო). უკანასკნელ კვირის განმავლობაში, კვლავ დაიწყო შემოსვლა ყოველგვარმა საჩივარმა მშვიდობიან მცხოვრებთა შევიწროებაზე საოკუპაციო ჯარების ნამცენავათ ფერადო ჯარების მიერ. უკანასკნელი ცნობებით შავი ჯარები, გამოყენებულნი იქნებიან რურის ოლქის საოკუპაციოთ. ფერადი ჯარები, რომელნიც გადადიან დარმშტადტის ტერიტორიაზე, მზათ არიან ბავარიაში შესასვლელად. აი ვისი ხელით აპირებენ ეგრეთ წოდებული „კულტურის და დემოკრატიის დამცველნი“ ლოიდ ჯორჯი და ბრიანი დაახრჩონ გერმანიის მშრომელთა მასსები.

საბჭოთა რუსეთისადმი მიილტვიან.

ლონდონი. 28 მაისი, (რადიო) რეიტერის სააგენტოს კონსტანტინოპოლის კორესპონდენტის ცნობით, ბეკირ-სამი ბეის საწინაამდეგოთ, რომელიც მიემგზავრებოდა ინგლისელებსა და ფრანგების მისასალმებლათ, ენერგიული კომპანია სწარმოებს განსაკუთრებით საბერძნეთის ფრონტზე გამარჯვების შემდეგ. ნაციონალური საბჭო შეხვდა ბეკირის და საფრანგეთის შეთანხმებას ფრიად ძლიერი ოპოზიციით და მისწერა თავის წარმომადგენლებს მოსკოვში, რომ ისინი უფრო მტკიცეთ შეუთანხმდენ საბჭოთა რუსეთს.

ანტანტის მაჩანჩალებს ბედი არ სწყალობთ.

ნაუენი. 30 აპრილი (რადიო) მიღებულია ცნობები მის შესახებ რომ ქემალ ფაშას ჯარებმა ხელახლად გაარღვიეს საბერძნეთის ფრონტი სამხრეთით.

მობილიზაცია საბერძნეთში.

ბათომი. 2 აპრ. (დეპეშით). დეკრეტით საბერძნეთში გაწვეულნი არიან: 1913,14 და 15 წლ. სათარიგო ჯარისკაცნი. მეფემ გამოაცხადა, რომ ეს ზომა საჭიროა ახლო აღმოსავლეთის დასამშვიდებლათ.

ვლადიმერ ბარამიძის ხსოვნას

(ლადო შემოქმედელი).

13 აპრილს, დილის ხუთ საათზე, ხაშურის საავადმყოფოში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ფილტვების ანთებით წუთის სოფელს გამოესალმა 19 წლის ნორჩი ახალგაზრდა მასწავლებელი, ჯანღონით სავსე, მომავლის სიამაყე და რევოლიუციონური კომიტეტის წევრი და სწავლა-განათლების განყოფილების გამგე ამხ. ლადო. ჯერ კიდევ მოწაფედ იყო, როდესაც 1917 წელს გაზეთ „ბრძოლაში“ ათავსებს მეტად მგრძნობიარე წერილებს. ერთი ამ საუცხოვო წერილთაგანი შეიცავს შემდეგ სათაურით „გურიის მეხშევიზმსაც შეუდგა წყალი“, სადაც მეტად დახელოვნებულად აშუქებს მენშევიკების გახრწნილ ბრძოლის მეთოდებს. ასეთი მგრძნობიარე წერილების მოთავსების შემდეგ გურიის მენშევიკებმა დაუწყეს სისტემატიურად დევნა ჯერ კიდევ 15 წლის მოწაფეს, მაგრამ ის არ უშინდება ამ რეპრესიებს და სასწავლებელს ათავებს პირველ ხარისხზე, სასწავლებლის გათავების შემდეგ აბარებს მასწავლებლობის ეგზამენს. მაგრამ ნაცვლად სკოლაში მასწავლებლად განწესებისა, თავხედი მენშევიკები და მათი მაწანწალა ჯაშუშები იქნობამდე გაკადნიერდენ ერთი მასწავლებლის ხელმძღვანელობით (უკვეთ რომ ვსთქვათ საგანგებო რაზმის წევრის) ოზურგეთის სამაზრო ერობის განათლების განყოფილების კანცელარიაში იპარავენ მთელ მის დოკუმენტებს, რის შემდეგაც ამხ. ლადო იძულებული ხდება მოშორდეს გურიის ორგანიზაციას და მშობლებსაც. აქედან ის მიდის თბილისში, სადაც არალეგალურად ცხოვრობს. ამავე დროს თბილისში ცხოვრობს არალეგალურად ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის სიამაყე ფილიპე მახარაძე, რომლის ბინაზედაც მხოლოდ დახელოვნებულ ორიოდე პირს თუ შეეძლო მასთან კავშირის დაჭერა მიუხედავად ამისა, ამხ. ლადო საუცხოვოდ ახერხებს კავშირის დაჭერას და საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებს „ბარონის“ ფსევდონიმით და ერთი ენერგიულის გატაცებით ასრულებს ყოველგვარ დავალებას, როგორც ცენტრალურ კომიტეტისას ადგილობრივ ორგანიზაციების უკანასკნელ სულის დალევამდე. 1919 წელს გადმოდის თბილისიდან გორის მაზრაში, სადაც ამავე დროს ცხოვრობს ხაშურის რაიონში ლადოს ძმა ამხ. ვასო ბარამიძე. ისინი აწესებენ სოფლის მასწავლებლათ სოფ. აზარაში. ეს ახალგაზრდა მასწავლებელი დიდის განცვიფრებით ამავე საზოგადოების ყურადღებას და სწავლა-განათლებით ჩამორჩენილ კუთხეს ელვის სისწრაფით აცნობს და აყვარებს სკოლას. რის შემდეგაც ეს პატარა ლადო ხელზე სატარებელ პიროვნებათ ხდება საზოგადოებისათვის. ბავშვებთან მეცადინეობის შემდეგ ნაშუადღევს აწყობს და აარსებს იაჩეიკებს. ქმნის ორგანიზაციას გლეხებში და გადის ბუხარინის კომუნისტურ პროგრამას. ამ ორი წლის განმავლობაში ცენტრალურ კომიტეტის განკარგულებით ინიშნება გორის სამაზრო კომუნისტურ კომიტეტის წევრათ სადაც ამხნის განმავლობაში არწივივით დასტრიალებს მთელ მაზრაში „ბარონის“ ფსევდონიმით. ამას გარდა ვისაც წაუკითხავს მისი ნაწერები გაზეთ „ბორბა“-ში და „კომუნისტ“-ში „ლადო შემოქმედელი“, „ლადო სოფლის შვილი“ და „ახალგაზრდა მასწავლებლის“ ფსევდონიმით უსათუოდ შეამჩნევდა, რომ ეს ახალგაზრდა 19 წლის ბავშვი, როგორც პოეტი და მწერალი დიდ იმედებს იძლეოდა და ნაყოფის მოტანას შესძლებდა მომავალი თაობისათვის, რომ ულმობელ ბუნებას უდროვოთ არ გამოეგლიჯა ის ჩვენი რიგებიდან.

განისვენე წყნარად ძვირფასო ძამიკო ლადო საუკუნოდ.

იქს.

ზარის რეკა.

ვისმენ მე ცის სამრეკლოდან,
ღმერთთა უღვთოდ ზარის რეკას!
ვხედავ მაღლით სამეფოდან
მავნე სულთა გამორეკას!
იჩარხება და იგება
მძლეთ—მძლე კოშკი მზის სხივების!
ტამ-ტანდურა იმართება
მებრძოლთა და მათი ხმების!
და მეც მზათ ვარ რომ გიჟურად
ჩავერიო ამ ფერხულში!
ჩემ მებრძოლ ძმებს მეგობრულად
ჩავხედო და ჩავწვდე გულში;
რომ იქ აღარ გაითხარონ;
ძირი ჭმუნვამ, შავ-სევდებმა,
და მით აღარ გაიხარონ,
მშრომელთ ქვეყნის უხეშ—მტრებმა.

დევნილი.

19 აპრილი 1921 წ.

ქუჩაში.

დუხჭირ ცხოვრების უმანკო მსხვერპლი
სევდით აღსავსე, ბედით გმობილი,
ერთ ბნელს ქუჩაში ვიხილე მარტოთ
წარსულ ჟამიდგან ჩემი დობილი.
ვერ მოვითმინე მყის წამსკდა ცრემლი
აკვნესდა გული ოხერ ტიალი,
მიუახლოვდი ქუჩისა შვილს და
სანუგეშებლათ გაუწვდე ხელი.
დობილო მითხარ; ნუ თუ ცხოვრებამ
ისე დაგძლია გულით და სულით,
რომ აქ ქუჩაში ლუკმა პურისთვის
გამოსულხარ და ვაჭრობ სხეულით?
ჩემს შეკითხვაზედ ცრემლთა ხაზებმა
მის მკრთალ სახეზედ დაისადგურა,
„ოი ძმობილო! ნუ მკითხავ ნურას,
ცხოვრებამ წილათ მე ეს მარგუნა.“
სთქვა ესა და თან საყვედურით
გამშორდა მოძმეს ქალი ეული,
თითქოს თავს დასდო საბრალომ ბრალათ
ცხოვრების მთელი დანაშაული.

გოგიტო ციმბირელი.

მანგლისი.

ვლადიმერ ბარამიძის უდროვოთ დაკარგვა

(ლადო შემოქმედელი).

ლადო შემოქმედელის მარჯვენა უდროვოთ შეჩერდა. მოგვაკლდა საუკეთესო ნიჭიერი მასწავლებელი, გლეხების და მათი შვილების გულის მესაიდუმლე უანგარო თავდადებული 19 წლის ახალგაზდა. ნორჩი პოეტი და მწერალი, რომელიც მისი მახვილი ჭკუა გონებას და მის კალამს ბევრი გაქვავებული ადამიანის გულის მოლბობა შეეძლო, ლადო, როდესაც ფარულათ მუშაობდა, ასეთი ახალგაზრდა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ახალგაზდა, ნორჩი, სულ თავჩაღუნული ჩაფიქრებული დადიოდა. ვინ იცის რამდენ უსამართლობას ხედავდა მისი ნორჩი თვალები მოსვენებას არ აძლევდა მის ახლათ გაფურჩნილ ნიჭს. შემთხვევით შევხვდი ამ სოფელში ამ დღეს შემდეგ შემაძრწუნებელ სურათს: დასტოვეს ბავშვებმა ერთბაშათ დარბაზი და ქვითინით სკოლას გარშემო უვლიდენ და სტიროდენ—მასწავლებელი ლადო აღარ გვეყოლება მოგვიკვდაო. ამ საზარელ წუთებს ამავე სოფლის გლეხები და ქალებიც გამოეხმაურენ—ჩვენდა გულ საკლავათ შევაყვარა თავიო და მოსთქვამდენ ერთავად ლადოს სიყვარულზე და თავდადებაზე. აი ასეთი თავდადებული და გზის მანათობელი ახალგაზრდა ვარსკვლავი ჩაესვენა უდროვოთ. განისვენე ტკბილათ ჩვენო პატარა ლადუშა, უკვდავი ხარ ჩვენ გულში.

ძველი მუშა ივ. ძაძამია.

სახალხო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია

პოლიტიკურ განათლების მთავარ-მართველობის ინიციატივით მომხდარ სახალხო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის გამო

კვირას 8 მაისს, განზრახულია ახალ საფუძველზე აგებულ სახალხო უნივერსიტეტის გახსნა.

ამ დღისთვის უნივერსიტეტის შენობაში გაიმართება საზეიმო სალამო, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ მუშათა პროფესიონალური კავშირები და სხვა და სხვა საზოგადო და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა წარმოდგენილნი.

ამნაირათ, მიმდინარე წლის, 8 მაისს საფუძველი ჩაეყრება მშრომელი მასისათვის ერთ უსაჭიროეს და უმნიშვნელოვანეს კულტურულ დაწესებულებას, რომელსაც უდიდესი მიზანი აქვს დასახული: გაუღოს მეცნიერების კარები საშკოლო განათლების მიღების საშვალებას მოკლებულ მშრომელი ხალხის ფართო მასსას.

მართალია ძველი ტიპის სახალხო უნივერსიტეტებიც ამავე მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ის ვერ ახერხებდა ამ მიზნის სავსებით და პირნათლად შესრულებას.

დღევანდელი განახლებული უნივერსიტეტი კი გაცილებით უკეთეს პირობებში იწყებს თავის არსებობას და მას მეტი საშვალებაც ეძლევა ემსახუროს თავის პირდაპირ დანიშნულებას და განახორციელოს ის დიადი მიზანი რომელიც მას ცხოვრებამ დააკისრა.

ამის თავდებათ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ პოლიტიკური განათლების მთავარი მართველობა, რომელმაც შეიმუშავა ახალი პროგრამა და დებულება სახალხო უნივერსიტეტებისათვის, ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რაც შეიძლება სწრაფათ მოჰფინოს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მთელი სივრცე ამ ახალ ნიადაგზე აგებულ სახალხო უნივერსიტეტებით.

უნივერსიტეტების მოწყობა, მათი მოვლა-პატრონობა, მატერიალურათ და სამეცნიერო ძალებით უზრუნველყოფა, მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს თავისთავზე.

ამნაირათ მოწყობილი სახალხო უნივერსიტეტები, აშკარაა, შესძლებს მიიზიდოს მოავლი მსმენელი და გახდეს მეცნიერებისა და სწავლა-განათლების გავრცელების მთავარ საშვალებათ მუშათა კლასის ფართო წრეებში.

ახლათ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით სახალხო უნივერსიტეტს ექნება სამი ფაკულტეტი: საზოგადოებრივი, ფიზიკო-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო. უნივერსიტეტში შესვლის უფლებაა უპირველესათ ყოვლისა ენიჭება მუშებს და ღარიბ გლეხკაცობას 16 წლიდან დაწყებული; იმ პირობით თუ მათ ეცოდინებათ წერა-კითხვა და ანგარიში. ვინც ამგვარ ელემენტარულ ცოდნას მოკლებულია და სურს შესვლა უნივერსიტეტში, მისთვის გაიხსნება, ეგრეთ წოდებული მოსამზადებელი კურსები, რომელიც საუნივერსიტეტო ფაკულტეტზე შესვლის საფეხურათ უნდა ჩაითვალოს და რომელზედაც სწავლა-მეცადინეობა ერთი ტრიმესტრიდან სამ ტრიმესტრამდი გაგრძელდება.

უნივერსიტეტის კურსის გავლა ორი წლის განმავლობაში ხდება.

კურსის დამთავრების შემდეგ მსურველთ ეძლევათ უფლება უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა. ვინც ამას არ მოისურვებს, მას შეუძლია განაგრძოს მეცადინეობა მესამე წელსაც შესაფერ სპეციალურ ცოდნის მისაღებათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ დებულების ძალით ის მუშა, რომელიც ივლის ლექციებზე რეგულიარულათ და პირნათლათ შეასრულებს მსმენელის ყოველ მოვალეობას განთავისუფლებული იქნება თავის ჩვეულებრივ სამუშაოსაგან ორი საათით ადრე მასვე უფასოთ მიეცემა უნივერსიტეტში მეცადინეობისათვის საჭირო ხელსაწყო და სასწავლო ნივთები.

აგრეთვე მას შეუძლია ისარგებლოს მუქთათ უნივერსიტეტთან მოწყობილ მსუბუქ საუზმით და სხვ...

ამას გარდა სახალხო უნივერსიტეტებს ექნებათ აუცილებლათ საკუთარი წიგნთსაცავ სამკითხველოები, რომლითაც თავისუფალი სარგებლობის უფლება მიეცემა მუშა მსმენელს.

ამნაირათ განახლებულ სახალხო უნივერსიტეტის პირველი საძირკველი, რასაკვირველია, თბილისში დაიდება. შემდეგ მიღებულ იქნება ზომები სახალხო უნივერსიტეტების გახსნისათვის რესპუბლიკის დანარჩენ დაბა-ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში.

მუშათა პროფესიონალურ კავშირების და პარტიული ორგანიზაციების მოვალეობას შეადგენს აუხსნას და შეაგნებინოს მშრომელი ხალხის ფართო მასას ამ მისთვის აუცილებელ და უპირველესი საჭიროების დაწესებულების, სახალხო უნივერსიტეტის, უაღრესი მნიშვნელობა და ურჩიოს ჩაეწეროს უნივერსიტეტში რეგულიარულ მსმენელათ.

უნდა კარგათ გვახსოვდეს, რომ ხალხის ჩამორჩენის და გაჭირვების ერთი მთავარი მიზეზთაგანი არის მისი გონებრივი სიბნელე, რომელსაც სახელათ უვიცობა უცოდინარობა ჰქვია.

ამ ნაკლის თავიდან აშორება და ხალხის გონებრივი ამაღლება და გათვითცნობიერება მხოლოთ მისთანა ხალხოსნურ დაწესებულებათა მეოხებით მოხერხდება, როგორიცაა სახალხო შკოლები და სახალხო უნივერსიტეტები.

ამიტომ ყოველი მუშის მისწრაფებას უნდა შეადგენდეს შესვლა ამ უაღრესათ ხალხოსნურ დაწესებულებაში და ცოტა ხნის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი ცოდნისა და განვითარების შეძენა.

შეჯიბრება „ანბ[illegible] სად[illegible]

სახალხო გ[illegible]
არსებული [illegible]
მთავარი გ[illegible]
მიზნის—([illegible]
რობის [illegible]
აცხადე[illegible]
(17—5[illegible]
სასწავ[illegible]
ნისათვ[illegible]
რულ [illegible]
ენისთვის).[illegible]
კონკურსის [illegible]
დგება:
1. „ანბანები[illegible]

ბით უნდა შეფარდებული იქმნას მოზრდილებთან მეცადინეობის მეთოდებით.

2. ანბანი უნდა შეიცავდეს საკითხავათ მცირე ნაწყვეტებს, რომლებიც შინაარსი შეფარდებული უნდა იქნეს მოზრდილ მოქალაქეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური განათლებისა და აღზრდისათვის.

3. ანბანები წარმოდგენილ უნდა იქნას ხელთნაწერის სახით, დაწერილი სუფთად და გარკვევით ქაღალდის ცალ გვერდზე.

4. სასურველია ანბანის შედგენის დროს შემდგენელებმა იხელმძღვანელონ დ. ელკინას, ნ. ბოგუსლავსკის და კურსკის რუსული სახელმძღვანელოთი: „ანბანი მოზრდილთათვის“.

5. ანბანი უნდა შეიცავდეს არა უმეტეს 32 გვერდისა.

6. ხელნაწერის წარმოდგენის უკანასკნელი ვადა დანიშნულია 1921 წ. ივლისის 1-ლი დღის 12 საათი.

7. ხელნაწერები უნდა წარმოდგენილი იქნეს, არა უგვიანეს მე-6-ე პუნქტში აღნიშნულ ვადისა, დახურულ კონვერტში, დევიზებით. წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიაში (სახალხო განათლების კომისარიატი—პოლიტიკური განათლების მთავარი გამგეობა).

ანბანები განხილული იქნება სპეციალური კომისიის მიერ და მოწონებულ ანბანების შემადგენელებს მიეცემათ პრემიები:

1. პრემია—500.000 მან.
2. პრემია—300.000 მან.

მოწონებული და მიღებული „ანბანები“ რჩება წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიის განკარგულებაში. დაწუნებული კი დაუბრუნდებათ შემადგენლებს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება წ—კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიის თავმჯდომარესთან ყოველ დღე დილის 11-12-საათამდე სახალხო განათლების კომისარიატში.

პოლიტ. განათ. მთავარ გამგეობის თავმჯდომარე **ხაჭაპურიძე.**

ქრონიკა

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი:

„საქართველოს სოც. საბჭ. რევოლიუც. კომიტეტს. სასწრაფო განცხადება*) საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი ერთხელ კიდევ გიცხადებთ, რომ სოც.-დემ. მუშ. პარტია ყოველთვის იყო და არის გადაჭრით წინააღმდეგი ყოველგვარ ავანტიურისტულ გამოსვლებისა. იგი აფრთხილებდა და აფრთხილებს ყველა თავის თანამოაზრეებს, რომ არ გადადგან არავითარი ისეთი ნაბიჯი, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის ტრადიციებს და მის ძირითად პრინციპებს.

მასიური პარტია არას დროს არ ისახავდა მიზნათ შეთქმულებითი მეთოდებს და პირიქით ასეთ განზრახვებს ებრძოდა და ებრძვის.

29 აპრილს ქუთაისში მომხდარ ამბავს ცენტრ. კომიტეტი სთვლის პროვოკაციათ, რომელიც პირდაპირ მიმართულია ჩვენი პარტიის წინააღმდეგ.

საქართველოს სოც. [illegible] პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის განცვიფრებას გამოსთქვამს, რომ ასეთ სამარცხვინო აქტის გამო იჭერენ ჩვენს ამხანაგებს.

ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს ამ გაუგებრობას ბოლოს მოუღებს საქართველოს სოც.-საბჭო. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი და ნამდვილი დამნაშავენი აღმოჩენილი იქმნებიან.

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

სურსათის შემოტანა. 28 აპრილს, პეტროვსკიდან ბაქოში თბილისისათვის მოვიდა ფქვილის 23 ვაგონი, ქერისა—2 ვაგონი და 4 ვაგონი ხორბალი.

◆ **მილიციის რევიზია.** მილიციის მთავარ სამმართველოს მიერ, გავზავნილია გორის მაზრაში განსაკუთრებულ უფლებით აღჭურვილი მთავარ სამმართველოს შტაბის პოლიტიკური კომისარი ამხ. იობიძე.

◆ **რკინის გზებზედ.** ფოთი-თბილისი. მიმოსვლის გასაადვილებლათ 20 აპრილიდან დაწესებულია გადუჯდომელი, პირდაპირი მიმოსვლა თბილისსა და ფოთს შორის. მესამე კლასის ერთი ვაგონი მიებმევა სადგურ თბილისში № 3 № 4 მატარებელს, რომელიც დანიშნულია თბილისსა და სამტრედიას შო-

უსაზრდოობის გამო. ამ ჟამათ ამერიკული კომიტეტი დახმარებას უწევს 18,000 ობოლ ბავშვს, მათგან ერევანში არის 4,000 ობოლი ბავშვი ამ მცირე ხანში გუმბრის თავშესაფარისათვის სტამბოლიდან მოვა საექიმო პერსონალი. 10 დღის შემდეგ მოელიან გემს სხვადასხვა საქონლით, რომელიც დანიშნულია ღატაკ სომეხთა დასახმარებლათ. მაისის 2 სომხეთში გაემგზავრა ამერიკულ კომიტეტის თავმჯდომარე მოქალაქე იაროუ, რომელიც პირადათ უხელმძღვანელებს სურსათის დარიგებას.

◆ **ბოტანიკური ბაღი.** თბილისის ბოტანიკურ ბაღის აპრილისა და მაისის სამეურნეო ხარჯებისათვის გადადებულია 7,500,000 მანეთი.

◆ **სათესლე მასალა.** ექსპლოატაციის უფროსმა წინადადებით მიმართა ყველა სადგურის უფროსებს არავითარ შემთხვევაში არ დააბრკოლონ მიღება და დანიშნულებისამებრ გაგზავნა სათესლე მასალისა, რადგანაც მათი გაგზავნის შეჩერებას შესაძლებელია გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

◆ **პოლიტეხნიკ. ინსტიტუტში** გამოცდა ყველა ფაკულტეტზე დაიწყება მაისის 9 დან. საინჟ. მექან. ფაკულტეტის დოცენტი ა. ს. ბაბოვი გაიგზავნა მივლინებაში ამიერ კავკასიის რკინის გზებზე ორთქლმავალთა მუშაობის შესამოწმებლად.

◆ მასწავლებლების და პოლიტეხნიკუმის მოსამსახურეთა წარმომადგენლების საერთო კრებამ აირჩია ადგილობრივი კომიტეტი, რომელშიაც შედიან: სმირნოვი, იუზბაშევი და ნესტროცევი.

◆ **საბჭოთა მოსამსახურეების წასასვლელად.** მატარებლებში 3 და 4 ში თბილისს—ბათომს შორის და მატარ. № 7—8 თბილის—ბაქოს შორის გამოყოფილია თითო მე-2 კლასის ვაგონი განსაკუთრებულ დანიშნულებით. რკინის გზის მოსამსახურეთათვის—10 ადგილით, რევკომის თანამშრომელთათვის და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურეებისთვის—18 ადგ. მოთხოვნილების მიხედვით ადგილების რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქნას. 36-მდე, მხოლოდ მარტო დასაჯდომათ. ნებართვას აღნიშნულ ვაგონებში ადგილის დაჭერის შესახებ იძლევა საექსპლოატაციო სამსახურის სამგზავრო მატარებლის განყოფილება 12—14 საათ. რევკომის ან დაწესებულების მანდატის წარდგენის შემდეგ, რომელიც უნდა ამოწმებდეს სამსახურის მივლინებაში გაგზავნას.

◆ **ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველომ** შეიმუშავა პროექტი მთლიან სახელმწიფოებრივ სტატისტიკისა რესპუბლიკაში. ამ პროექტს საფუძვლად დაედო „რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფოებრივ სტატისტიკის დებულება", იმ ცვლილებით და დამატებით, რომელნიც გამოწვეულნი იყვნენ ადგილობრივი პირობებით; ეს პირობები იყო უმთავრესათ: სტატისტიკურ ძალთა სიმცირე რესპუბლიკაში და შედარებით მცირე ტერიტორია საქართველოსი. პროექტის საბოლოო განსახილველათ ც. ს. ს. იწვევს მაისის 10 ს, ცენტრის და პროვინციელ სტატისტიკოსთა ყრილობას. ყრილობის მიერ განხილვის შემდეგ პროექტი წარედგინება საქართველოს რევკომს დასამტკიცებლათ.

ხ[illegible]ოვნება

[illegible] პოეზიის დღე.

საქართველოს მწერალთა ტრადიციული დღესასწაული: პოეზიის დღე გაიმართება დღეს საინტერესო პროგრამით სახელმწიფო თეატრში. გრიგოლ რობაქიძე წარმოსთქვამს სიტყვას პოეზიაზე. სალიტერატურო განყოფილებაში გამოვლენ პოეტები. დადგმული იქნება წარმოდგენა „თქმულება შოთა რუსთაველზე". და სხვ. ამ დღისთვის საგანგებო შედგენილი გაზეთი „პოეზიის დღე" უკვე გამოვიდა, რომელშიდაც მოთავსებულია ცნობილ მწერალთა ნაწარმოები.

პარტიული ცხოვრება

კავკასიის ბიურო რუსეთის კომუნისტ. ახალგაზრდათა კავშირისა.

გრუკავროსტას თანამშრომელთან საუბრისდროს რ. კ. ა. კ. ცენტრალურ კომიტეტის კავბიუროს მდივანმა სტაროსტინმა სთქვა, რომ კავბიურო რ. კ. ა. კ. იმყოფებოდა მუდმივათ დონის როსტოვში. ეხლა, როდესაც საქართველო შევიდა საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში, კავბიურომ გამოყო თავისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიურო რ. კ. ა. კ. და თითონ კავბიურო გადმოვიდა თბილისში, როგორც [illegible]

[illegible] ბელ მუშაკის, კავშირის წევრ-სომხების, სომხეთის სხვადასხვა პუნქტებში გასაგზავნათ. აზერბაიჯანში ახდენენ მოკავშირე ძალების მობილიზაციას ბათომის ოლქში აჭარელთა შორის სამუშაოთ გასაგზავნათ.

აფხაზეთი.

აფხაზეთში არსდება საორგანიზაციო ბიურო კომუნისტ. ახალგაზდათა კავშირის. აქ ითვლება 1500 წევრი კავშირისა და 9 ორგანიზაცია.

საქართველოს ციხეებიდგან განთავისუფლებულ პარტიულ ამხანაგებს.

ამხანაგებო! ჩვენ, ძამითის თემის კომუნისტური ორგანიზაციის ერთ" ერთ კრებაზედ შეკრეფილი ამხანაგები რიცხვით 100 კაცი, გიძღვნით მხურვალე სალამს და გისურვებთ ჩვეულებისამებრ მედგრათ და შეუდრეკლათ წინ მსვლელობას. დეე გაიგონ ყოფილმა მტარვალებმა და ჯალათებმა, რომ მათი სამარცხვინო საქციელით თვით გამოითხარეს ძირი. თქვენ საქვეყნოთ, დაამტკიცეთ მშრომელი ხალხისთვის თავგანწირულება და ვერ შეგაშინათ ხალხის მტრების ტყვიებმა და ხიშტებმა. სალამი, გამარჯვება თქვენ.

თავმჯდომარე: **ვ. კილაძე.**
მდივანი: **მ. კილაძე.**

პროფესიონალურ კავშირებში

თბილისის პროფკავშირებში საბჭოს პლენარული სხდომა.

ხუთშაბათს 28 აპრილს, კინოთეატრ „მინიონ"-ის დარბაზში შესდგა თბილისის ყველა პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული პლენარული სხდომა.

სხდომა გახსნა პროფკავშირის მდივანმა ამხ. გ. ყურულაშვილმა.

დღის წესრიგში იდგა:

1) სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობა და ჩვენგან დელეგატების გაგზავნა.

2) პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ.

3) მოხსენება სატარიფო კომისიისა.

ამხ. გ. ყურულაშვილმა სანამ დასმულ კითხვებზე გადავიდოდა პირველად აღნიშნა აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების წლისთავი. იგი მოაგონებს სხდომას თან, რომ ამ დღეს აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობა იხსნება ბაქოშიო, და წინადადებას იძლევა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნონ მათ კავშირის სახელით. დეე იცოდეს აზერბაიჯანის პროლეტარიატმა, რომ ჩვენ საქართველოს პროლეტარიატი მჭიდროთ ვართ „მათთან" გადაჯაჭული და მტერთან ბრძოლაში, მთელი აღმოსავლეთის ანტანტის ხელიდან გამოსაგლეჯათ ერთად ვივლით; ჩვენ ვერავითარი ძალა ვერ მოგვაშორებს ერთმანეთს!..—დაასრულა მან. (ხანგრძლივი აპლოდისმენტები).

შემდეგ გადავიდა დღის წესრიგის პირველ თავზე და გააკეთა პატარა ინფორმაციული ხასიათის მოხსენება რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს სტრუქტურაზე, მის ორგანიზაციებზე და იმ კოლოსალურ სოციალისტურ გამოცდილებებზე, რომელიც მათ სამი წლის ტიტანიური სახელმწიფოს შენების პროცესში მიიღეს. მან მოიყვანა მრავალი ცნობები იმისი, თუ როგორ მოდიან, მოეშურებიან რუსეთში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომ გაეცნონ რუსეთის პროფკავშირებს, რომ იხელმძღვანელონ მათ რუსეთის ამ ცოცხალ გამოცდილებებით. ამხ. გ. ყურულაშვილი ბოლოს აცნობს სხდომას დელეგატთა არჩევის ნორმას. მაგრამ როგორც გამოირკვა სხვა და სხვა ტეხნიკურათ მოუხერხებლობის გამო ამ ნორმით საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ არ დასრულებულა პროფკავშირების გადამიჯვნა,—ვერ იხელმძღვანელეთ და წამოყენდა დელეგატთა განსაზღვრული რიცხვი აქ დელეგატთა განაწილების პრინციპი შემდეგია:—უნდა ხდეს არჩევა დელეგატების უმთავრესად ისეთ სამრეწველო ცენტრებს, რომლებიც რაიმე სახელმწიფოებრივ ღირებულებას ქმნიან—როგორიც არის მაგალითად მელითონეთა, მეტყავეთა, მეთუთუნეთა, მბეჭდავთა, რკინისგზელთა კავშირები და სხვა.

გადაწყდა დელეგატთა რიცხვი 15 კაცამდის აიყვანონ.

აღნიშნულ რიცხვთა შორის პრეზიდიუმმა წამოაყენა ორი კანდიდატი—ამხ. ლადო დუმბაძე, და ვირაპპი. დანარჩენ დელეგატების არჩევა მიენდო კავშირთა ერთეულებს.

შემდეგ 2-რე კითხვაზე. ინფორმაციული ხასიათის პატარა მოხსენება გააკეთა [illegible]ის მოსწყობ კომისიის თა[illegible]ონენკომ. მან აღნი[illegible] დარების გა[illegible]ვაუალი ტა[illegible]ნაპირა ად[illegible] კომისიის [illegible]ს სამაისო [illegible]ღყობა და [illegible], ზეიმის [illegible]ს ექნე[illegible]ში, ქა[illegible]ებზეო. [illegible] გააკე[illegible]ის ნორმიროვკაზე მან სთქვა:—...ტარიფის გამომუშავებას უნდა დაედვას ორგვარი პრინციპი საფუძვლათ,—საბჭოთა მოსამსახურეებზე ცალკე, კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეებზე ცალკე, ან სხვა ნაირად, მაგრამ სხვანაირი გზას მე არ ვხედავ—აქ მან ილაპარაკა რუსეთის მაგალითებზე მოიყვანა იქ ხმარებული პრემიალური სისტემა და სთქვა:—ეს არ არის სასურველი და მისაღები ჩვენთვის აქ საქართველოში სადაც კერძო დაწესებულებები, კერძო წვრილი წარმოებები რჩება ჯერ კიდევ, რომელთაც ჩვენ ამ პრემიალურ სისტემის შემოღებით (შრომის წახალისებით) დიდ, ძლიერ დით სამსახურს გაუწევთ. მან ბოლოს აქ წამოაყენა სამი პრინციპი შრომის საფასურის საზღვარ დასადებათ: 1) კვალიფიკაცია (კარგი თვისება მუშაობაში) 2) ხარისხი მუშაობისა, და 3) „პაიასი" (ბაზრის ფასის და მიხედვით განსაზღვრა შრომის).

მომხსენებლის აზრით, ეს არის ერთად ერთი გამოსავალი სწორი გზა ზემოთ მოყვანილ, შრომის სხვა და სხვაობით შექმნილი უხერხულებიდან.

ამხ. ს. ჯუღელმა გააცნო სხდომას კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი შრომის ფასის ნორმათა. აქ ნაჩვენებ პროექტში მუშაობის ხარისხი იყოფოდა 35 ერთეულად; ხოლო შრომის ფასი 15 ათასიდან დაწყებული ადიოდა 60 ათას მანეთამდის.

რადგან გვიანი იყო, კითხვის ამ სხდომაზე გარჩევა—გადაწყვეტა არ მოესწრო და გადაიდო შემდეგი, მახლობელი სხდომისთვის.

ხევასტი.

პროფკავშირების მოწყობა სამტრედიაში

სამტრედიიდან გრუზტა იუწყება, რომ ამხანაგ ოდილავაძეს სამტრედიაში ჩამოსვლამდის არსებობდა მხოლოდ რკინის გზელთა ერთი კავშირი, რომელშიაც ითვლებოდა 1800 წევრი. სხვა კავშირები კი არ იყო. ამხანაგ ოდილავაძეს მიერ იქმნა მოწვეული თათბირი ადგილობრივი პროფმუშებისა—პარტკომისა და რევკომისა. ამ თათბირზე დადგენილი იქმნა დაეარსებიათ სამდივნო და ის დაექვემდებარებიათ ქუთაისის პროფკავშირების ბიუროსათვის. სამდივნოთ იქმნა არჩეული ხუთი ამხანაგის შემადგენლობით: კვერტაშვილი ვასო, კილაძე ვასილი, სტურუა ილარიონი, რამატრაძე იონა და პაპავა ალექსი. იმავე დროს მოწვეული იქმნა ყრილობა მუშებისა და მოსამსახურეებისა, სადაც ამხ. ოდილავაძემ მოხსენება გააკეთა პროფესიონალური მოძრაობის შესახებ. ამ ყრილობამ დაამტკიცა აგრეთვე სამდივნო წევრებიც. სამტრედიაში მოეწყო სასადილოები. მჭადი ეძლევა თვით მომუშავეებს თითო გირვანქა, მხოლოდ მისი ოჯახის წევრებს კი ნახევარი გირვანქა. სადილები და მჭადი არის უფასოდ.

შინა მოსამსახურეთა კავშირში.

შინა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილი იქმნა შემდეგი: ეკონომიური კავშირის გამგეთ ამორჩეული იქნას ამხ. თოფ ძე. მოსმენილია განცხადება ამხ. კეინისა იმის შესახებ, რომ კულტურულ-განმანათლებელი კომისია სრულებით არ მუშაობს. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, ევალება ამხ. კეინს კონტაქციით მოიწვიოს კულტურული განმანათლებელი საბჭოს წევრებათ კავშირის წევრები მასწავლებელ ქალთაგან.

შრომის დაცვის ინსტრუქტორის არჩევნების საკითხის გამო, ამხ ელბაქიანმა განაცხადა, რომ არჩევნები უნდა მოხდეს მოკლე ხანში, თავდაპირველად კი საჭიროა ამოირჩეს კარგად მომზადებული ამხანაგი სინდისიერი მომუშავე და ამასთან კარგი მცოდნე ქართული და სომხური ენებისა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, დადგენილია მიენდოს პრეზიდიუმს, რომ მან მოიწვიოს დელეგატების კრება, რომელზედაც უნდა მოხდეს არჩევნები.

მუშათა ცხოვრება

22 აპრილს 1921 წ მოისმინა რა ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის კანტორის თანამშრომელთა საერთო კრებამ მოხსენება ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარისა ამხ. აკაკი ლომაიასი—აღფრთოვანებული მუშა და გლეხობის გამარჯვებით სთვლის წასულმა მენშევიკური მთავრობის მოქმედებას არა მუშა და გლეხების სასარგებლოდ მიმართულს, არამედ მის წინააღმდეგ დაღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ კომუნისტური პარტია და მისი მთავრობა არის ერთად ერთი დამცველი მშრომელი ხალხისა და მუშათა ვართ ასეთი მთავრობას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ და მხარი დაუჭიროთ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის წესწყობილების გასაძლიერებლად და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას და მისი მთავრობას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, მეომარ შტაბს მშრომელთა მთელი ქვეყნისა და მსოფლიო რევოლიუციონური ბელადებს ლენინს და ტროცკის.

თავმჯდომარე: **შავგულიძე.**
მდივანი: **მიხ. ხოშოლავა.**

შრომის ინსპექცია.

ყველა დარგის პროფესიონალური კავშირებს გაეგზავნა განკარგულება შრომის ინსპექციის დაარსების შესახებ, რომელშიდაც შედის სანიტარული და ტეხნიკური ინსპექტორთა ინსტიტუტი.

საბჭოთა მმართველობა თავის უმთავრეს მიზნათ ისახავს სიცოცხლის, ჯანმრთელობის და შრომის დაცვას ყველა იმ პირთა, ვინც კი ეწევა მუშაობას და მოღვაწეობას რაიმე სამეურნეო დარგში. მაგრამ მუშათა შრომის სავსებით დაცვა, უზრუნველყოფა, შრომის კანონის სავსებით გატარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მის დაცვის მეთვალყურეთ იქნებიან პროლეტარიატის ინტერესებისათვის თავდ დებულნი და ერთგულნი. ამ მიზნით ყოფილ შრომის სამინისტროს მიერ შემოღებულია უკვე გაუქმებულ კომისართა და რწმუნებულთა ინსტიტუტის ნაცვლათ, თანახმად საქართველოს ს. საბ. რესპუბლიკის რევკომის დეკრეტისა 20 აპრილიდან, არსდება შრომის ინსპექცია სანიტარული და ტეხნიკური ინსტიტუტით. შრომის ინსპექცია იმყოფება შრომის სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივათ მის ორგანოების (შრომის განყოფილებები) განკარგულებაში და შესდგება ამორჩეულ შრომის ინსპექტორთაგან. შრომის ინსპექტორები ირჩევა: 1) საქალაქო და საუბნო ადგილობრივი წარმოებათა საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტების და დაწესებულებების წარმომადგენელთა კონფერენციის მიერ. 2) არა-საუბნო ინსპექტორები, რომელთა დანიშნულებაა კერძო სამუშაო დარგის მშრომელთა, რკინის გზის, საწყლო ტრანსპორტის, სახალხო კავშირებზე მომუშავეთა და სხ. დაცვა ირჩევა სათანადო წარმოების პროფესიონალურ კავშირების მიერ; 3) სრულიად საქართველოს ინსპექტორს ირჩევს საქართველოს პროფ. კავშ. საბჭო; 4) ინსპექტორის თანამდებობაზე ამტკიცებს პროფ. კავ. საბჭო. სატეხნიკო და სანიტარული ინსპექტორებს იწვევს ადგილობრივი შრომის დაცვის განყოფილება, დაამტკიცებს შრომის სახალხო კომისარიატი.

პროვინციაში

დ. ძირულა.

საქართველოს სხვა კუთხეთა შორის, რომლებმაც აფრიალეს წითელი დროშა, წედ წარწერით „მშრომელო ხალხო შეერთდითო", დ. ძირულმაც თავის მხრივ კოპწია დროშა გამოფინა და ჩააბარა თავის ერთგულ შვილებს, თანაც უთხრა: „აჰ დაიკავე, მაგრამ იცოდე, რომ საფრთხილოა"-ო და მართლაც სიფრთხილით ეკიდება მას მისი შვილები, რადგან იციან, რომ მტრები მას ბევრი ჰყავს. აი სწორეთ ამ დავალებით გადასცა თავისი ბედ-იღბალი—ძირულამ თვის ერთგულ შვილებს. დავალება ბევრია, ენერგიაც საჭიროა ამისთვის, რომ განხორციელებული იქნას ყოველივე დავალება. აი სწორეთ ამ დავალებით უნდა გავაცნოთ საქ. უმაღლეს ხელისუფლებას ჩვენი პატარა კუთხის ჭირ-ვარამი, რომელიც მის მცხოვრებლებს ყოველთვის ისე ეხლაც აწევს კისერზე, რომელიც ბორკავს მის არსებას ეს არის შიმშილი. ეს არის ამ ხალხის გაჭირვება; ამისთვის სთხოვს მთავრობას დახმარებას, რომ ცოტა-ოდენი წვლილი გამოიღოს მისთვის და დაეხმაროს სურსათის მიწოდებით.

დავალებით შამი.

ზუგდიდი.

9 მარტს ლონდონიდან ზუგდიდს ეწვია ამხ. კოლია თორია, რომელიც ტეხნიკურ პროფესიასთან ერთად პარტიულ მუშაობას ეწეოდა ლონდონის კომუნისტურ პარტიაში. ამხ. თორიამ თან ჩამოიტანა თავისი შრომით შეძენილი მანფაკტურა 4609 არშ. ტილო და ჩითი. რომელიც მან შესწირა საერთოდ ობლებს და საზოგადოების ულარიბეს ნაწილს. ასეთი გულუხვი შემოწირულებისათვის ზუგდიდის კომუნისტურ პარტიის ორგანიზაცია დიდს მადლობას სწირავს ამხ. კოლია თორიას.

ზუგდიდის რევკომის თავმჯდ.
აკ. ქავთარაძე.

მისალმებანი

საქართველოს რევკომის თავჯდომარეს მახარაძეს

ჩვენ საქარხნო კომიტეტების ქალაქის კონფერენციის, შინაკომიტეტების და პროფკავშირების გამგეობათა დელეგატები, რომელნიც წარმოვადგენთ ქალ. ბათომის შეკავშირებულ მუშებს, მივესალმებით პროფკავშირების საბჭოს და საქართველოს რევკომს, როგორც ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ინტერესების გამომხატველთ, ბათომის მუშები, რომელნიც 4 წლის განმავლობაში ვიბრძოდით ოსმალეთის იმპერიალიზმის, ანტანტის იმპერიალიზმის და მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ—საბჭოთა ხელის უფლების დასამყარებლათ, ვფიქრობთ, რომ ის შესაძლებლობა, რომელიც გაიშალა მშრომელთა შემოქმედებითი მუშაობისათვის, საწარმოვო კავშირების სახით, შექმნის მტკიცე საფუძველს პროლეტარულ ხელისუფლების განსამტკიცებლათ, მუშათა რევოლიუციის მოწინავე სადარაჯოზე და რუსეთის რევოლიუციის მოწინავე პოზიციებზე—ბათომის მუშები ისევე თავგამოდებით იბრძოლებენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასა და განვითარებისათვის, როგორც იბრძოდნენ მის მოსაპოვებლათ. გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას, გაუმარჯოს საქართველოს რევკომს, გაუმარჯოს საქართველოს პროფკავშირების საბჭოს.

პრეზიდიუმი: **პარაცესკი, პუზილი, ედელსონი.**

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი". ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ველაზარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პარტიული

მეორე რაიონის კომუნისტური პარტია წინადადებას აძლევს ყველა წევრებს და კანდიდატებს, რათა მათ სამი დღის განმავლობაში შეადგინონ ორგანიზაციები, დაარსონ იაჩეიკები ყველა დაწესებულებაში და ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობონ მეორე რაიონულ კომიტეტს.

სხვა და სხვა

ქალაქ თბილისის რევკომის სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება ამით აცხადებს, რომ ადელაიდა ლევის ასულმა (იგივე კარლოს ასული) ბალაბანსკაიამ განაცხადა სურვილი შეცვლილ იქმნეს მისი გვარი ბალაბანსკაია—რომაშევსკაიათ.

სახალხო განათლების კომისარიატი

პოლიტიკური განათლების მთავარი მართველობა

სახალხო უნივერსიტეტების პოლიტიკური განყოფილება ხსნის განახლებულ ცენტრალურ უნივერსიტეტს (პლეხანოვის ქ № 123).

უნივერსიტეტს ექნება 4 განყოფილება:

1. საზოგადოებრივი
2. საბუნებისმეტყველო
3. ფიზიკო-მათემატიკური
4. მოსამზადებელი

უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა, პარტიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით **მოხდება 8 მაისს, საღამოს 5 საათზე.**

მსმენელთა ჩაწერა გრძელდება

პირველ რიგში მიიღებიან მუშები და გლეხები, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წევრები.

ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის კანცელარიაში და და პოლიტიკურ განათლების მთავარ-მართველობის განყოფილებაში (ლორის-მელიკოვის ქ. № 5).

ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში" დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება.